# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 29 მაისი 2003 №97 (1868) | ფასი 50 თეთრი



# თასი მილანისა და ცოტაც ჩვენია

## ქალაქი ჩემპიონთა ლიგის ჩემპიონია




REUTERS გარეკანზე

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. ფინალი

## იუვენტუსი 0:0(პენ. 2:3) მილანი

**მანჩესტერი. „ოლდ ტრეფორდი". 65 000 მაყურებელი. მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)**

*პენალტები:* 0:0 ტრეზეგე (მეკარე), 0:1 სერჟინიო, 1:1 ბირინდელი, 1:1 ზეედორფი (მეკარე), 1:1 ზალაიეტა (მეკარე), 1:1 კალაძე (მეკარე), 1:1 მონტერო (მეკარე), 1:2 ნესტა, 2:2 დელ პიერო, 2:3 შევჩენკო

გაფრთხილება: კოსტაკურტა, ტაკინარდი, დელ პიერო

| | |
|---|---|
| ბუფონი, ტურამი, ფერარა, ტუდორი (ბირინდელი 42), მონტერო, კამორანეზი (კონტე 46), ტაკინარდი, დავიდსი (ზალაიეტა 65), ძამბროტა, დელ პიერო, ტრეზეგე<br>*სათადარიგონი:* კიმენტი; პესოტო, იულიანო, დი ვაიო<br>მწვრთნელი: მარჩელო ლიპი | დიდა, კოსტაკურტა (როკე ჟუნიორი 66), ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო (სერჟინიო 71), ზეედორფი, რუი კოშტა (ამბროზინი 87), შევჩენკო, ინძაგი<br>*სათადარიგონი:* აბიატი; ლაურსენი, ბროკი, რივალდო<br>მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი |

ჯარიმა: 34-23; კუთხური: 5-13; კარისკენ დარტყმა: 9-8; კარში დარტყმა: 2-6; თამაშგარე: 1-6



გამარჯვების დედა დიდა

# Felicita

კლარენს ზეედორფმა სამ სხვადასხვა კლუბში მოიგო ჩემპიონთა თასი — „აიაქსში", „რეალსა" და „მილანში". პაოლო მალდინიმ მეოთხედ მოიგო თასი და მეოთხედვე „მილანის" მაისურით, კახა კალაძისთვის კი ეს პირველი თასი იყო. გუშინ ღამემდე ვამბობდით, რომ კალაძე პირველი ქართველია ჩემპიონთა ლიგის ფინალში და ახლა იგივე „მცირედი" შესწორებით შეგვიძლია გავიმეოროთ.

ნაღდად ვერ გეტყვით, რამ ჩააძინა „ოლდ ტრეფორდზე" მისული მავანი მაყურებელი, ვინაც კამერების თვალწინ საამურად ფშვინავდა მატჩისას და სავსე სტადიონის ღრიალი იავნანასავით ჩაესმოდა, მაგრამ ჩვენ გვესმის დანარჩენი ევროპისა — თამაში ღირდა ღამის თევად და ნერვიულობად.

აქამდე, ჩემპიონთა თასის წინა 48 ფინალში ექვსჯერ მოხდა, რომ საქმე პენალტების სერიამდე მივიდა და მათგან სულ სამჯერ, უგოლო 120 წუთის შემდეგ.

ასე იყო 1986 წელს, როცა სევილიაში „სტიაუამ" პენალტებით 2:0 მოუგო „ბარსელონას". ასე იყო ორი წლის მერე შტუტგარტში, სადაც „პსვ ეინდჰოვენმა" 6:5 სძლია „ბენფიკას" და ასე იყო თორმეტი წლის წინ ბარიში, „ცრვენა ზვეზდამ" ხუთი პენალტი რომ გაუტანა „მარსელს" და მხოლოდ სამი გაუშვა.

იმ ფინალებისა რა გითხრათ და, გუშინდელმა ფინალმა ნათლად დაგვანახა, რომ 120-წუთიანი უგოლო ფეხბურთი უხვგოლიანზე არანაკლებ საინტერესო შეიძლება იყოს.

მაგრამ რაც უნდა მომხდარიყო იმ 120 წუთში, ვერაფერი შეედრება ყოვლად ზღვარგადასულ დაძაბულობასა და ნერვიულობას, რაც თერთმეტმეტრიანების შესრულებას ახლდა.

დიდა კარში, დავიდ ტრეზეგე გამოექანა. ეგებ ნახევარ იტალიას გაახსენდა როგორ წყევლიდნენ ფრანგ ფორვარდს, როცა სამი წლის წინ მისმა გოლმა ცხვირწინ ააცალა „სკუადრა აძურას" ევროპის თასი. დიდამ ტრეზეგეს აუღო.

ბუფონი კარში, სერჟინიო გამოექანა და გაიტანა.

შემდეგი ბირინდელია — გაიტანა, მაგრამ მის პენალტს იმ შემთხვევაში აქვს ფასი, მილანელები თუ გააფუჭებენ.

ბირინდელის მერე კლარენს ზეედორფი ურტყამს და აფუჭებს. ეგებ ვინმეს გაახსენდა, რომ ზეედორფი „აიაქსში" თამაშობდა, როცა ლიგის ფინალში „მილანს" მოუგო.

ტურინელებმა შვებით ამოისუნთქეს, მაგრამ სულ რამდენიმე წამით — მარსელო ზალაიეტამ დარტყმა გააფუჭა, დიდამ აუღო.

ყველანი გრძნობენ, რომ ორი პენალტის გაფუჭება მეტისმეტია და რომ „იუვე" ამისთვის უნდა დაისაჯოს. ბურთთან პოტენციური დამსჯელი მიდის — კახა კალაძე. ევროპაში არავის, მაგრამ ჩვენთან ეგებ ვინმემ გაიხსენა, რომ შარშან სხვა ქართველმა, გიორგი გახოკიძემ უეფას თასის მეოთხედფინალში გადამწყვეტი პენალტი გააცუდა. და ვინაც ეს გაიხსენა, ალბათ უმალ ენაზეც იკბინა — ბუფონმა კალაძეს უაღო, ყველაფერი თავიდან დასაწყები გახდა.

ეს „თავიდან დაწყება" თავდაპირველი სცენარით დაიწყო, პაოლო მონტერომ ვერ გაიტანა, უფრო სწორად, დიდამ ისევ აიღო. მერე ალესანდრო ნესტამ გაიტანა, რასაც ალესანდრო დელ პიერომ, როგორც იქნა, „იუვეს" შედეგიანი დარტყმა მიაყოლა. მაგრამ ბირინდელის პენალტისა არ იყოს, დელ პიეროს გატანილსაც მხოლოდ მაშინ ექნებოდა ფასი, „მილანი" მეხუთე, გადამწყვეტ დარტყმას თუ გააფუჭებდა.

მეხუთე გადამწყვეტი ანდრეი შევჩენკოსია. ფინალის წინ მან თქვა: „ჩემპიონთა ლიგის მოგება ჩემი საჭაბუკის დროინდელი ოცნებაა. 1999 წელს კიევის „დინამოსთან" ერთად ნახევარფინალში დამარცხებისას დიდი იმედგაცრუება ვიგრძენი, თუმცა დღეს რომ ვუფიქრდები, ვეჭვობ, მაშინ მთელი გზის ბოლომდე გასავლელად მზად არ ვიყავით. სწორედ მაშინ წავაგეთ, როცა მეტის მიღწევა აღარ შეგვეძლო."

მას მერე ოთხმა წელმა განვლო, შევჩენკო კარგი ფორვარდიდან სუპერფორვარდად იქცა და „მილანიც" დინამოზე" დიდი გუნდია. ერთი სიტყვით, ანდრეი შევჩენკო კარიერის უმთავრესი გოლის გასატანად გაექანა...

რა მოხდა მერე, აღსაწერად ძნელია, წარმოსადგენად კი, ალბათ, იოლი. ისე, ფინალების მერე მუდამ ერთი და იგივე ამბავი ხდება და საკმარისია ერთი ფინალი მაინც გქონდეთ ნანახი და სრულ წარმოდგენასაც შეიქმნით. საფინალო სიხარულს და მწუხარებას ყველა ერთნაირად გამოხატავს.

„მილანი" ევროპის საკლუბო ჩემპიონია. და მაინც, როცა თასის ბედი პენალტების სერიაში წყდება, რჩება ხოლმე ეჭვი, დამსახურებულად მოიგო თუ არა გუნდმა ჯილდო. ეს ბუნებრივიცაა, რადგან პენალტების სერიას ხშირად ლოგიკა არ აქვს და მსოფლიოს უდიადეს ფეხბურთელებსაც მოსცარვიათ ამ საქმეში ხელი.

მაგრამ ახლა იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა შეგვიძლია თამამად ვთქვათ — „მილანი" დიახაც რომ იმსახურებდა თასის მოგებას.

კი, ვიღაც იტყვის, რომ მეოთხედფინალში „აიაქსთან" ბოლო წამებზე გატანილი გოლი რომ არა და ნახევარფინალში „ინტერთან" საზიარო „სან სიროზე" პირობითად საგარეოდ მიჩნეული გოლი რომ არა, „მილანი" საერთოდ ვერ გავიდოდა ფინალში. მაგრამ ასეთი ლაპარაკით ადამ და ევამდე შეიძლება ჩავიდეთ და ამაზე სიტყვის გაგრძელება არ ღირს. მთავარია, რომ თავად ფინალში „მილანი" „იუვენტუსზე" უკეთესი იყო.

გავიხსენოთ თუნდაც ინძაგის ვერაგული თავური საწყის წუთებში, ბუფონმა რაღაც სასწაულით რომ მოიგერია. და მერე რა, რომ ანტონიო კონტემ, მეორე ტაიმის დასაწყისში ხარიხას გაარტყა — მომენტთა თვლას თუ მივყვებით ხელი, „მილანი" დიდად გაუსწრებს ტურინულ გუნდს.

და ისევ კახა კალაძე. მან 120 წუთი ისე ითამაშა, მილანელი რომ არ იყოს, ვიტყოდით, დიდ გუნდში თამაშის ღირსიაო. მაგრამ რა გვეთქმის — კალაძე ისედაც თამაშობს დიდ გუნდში, რომელიც გუშინ მეექვსედ გახდა ევროპის ჩემპიონი.



# კახა კალაძე ნამატჩევს

— ჩვენზე ბედნიერი ახლა არავინაა. სიტყვებით ვერ გადმოგცემთ ჩემსა და ჩემი თანაგუნდელების განცდებს. უზომოდ გახარებული ვარ. გასახდელში შამპანურის წვიმაა. იტალიის პრემიერმა და „მილანის" პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ თავად შეავსო ჩემპიონთა თასი და ყველამ სათითაოდ ჩვენი გამარჯვებისა შევსვით. აქ დიდი ზეიმია, მომლოცველი არ გვაკლია, გმადლობთ.

**— თამაშზე რას იტყვი?**

— მგონი, შედეგი ლოგიკურია. „მილანმა" უკეთ, უფრო ლამაზად ითამაშა, თასი ნაღდად დავიმსახურეთ. მომენტები ხომ „იუვენტუსზე" მეტი და რეალური გვქონდა და ესეც რომ არა, მსაჯმა გოლი არ ჩაგვითვალა.

**— გეტყობოდა, პენალტისას ღელავდი...**

— არანაირი ნერვიულობა. ასეთ დროს მე ცივსისხლიანი ვარ. პენალტი, უბრალოდ, ცუდად დავარტყი.

**— შუაში გსურდა დარტყმა?**

— არა, მარჯვნივ. საქმე ისაა, რომ დარტყმისას ბურთი ოდნავ დაგორდა და მიმართულება ვეღარ განვსაზღვრე. აი, ეს კი ძალიან განვიცადე. მადლობა ბიჭებს, რომ ჩემი და ზეედორფის გაცუდებული პენალტების მიუხედავად, ძალა მოიკრიბეს და იდეალურად დაარტყეს.

**— მეკარე დიდა და შევჩენკო, ალბათ, გმირებად ითვლებიან...**

— რა თქმა უნდა, თასი მათი დიდი დამსახურებაა, თუმც, ვფიქრობ, დღეს მთელმა „მილანმა" გააკეთა საგმირო საქმე.

**ძოგბა ინასარიძე**

## შვეიცარია

B ჯგუფი. XIV ტური

ლოზანა 1:2 ვინტერთური

## ნორვეგია

VIII ტური

ვიკინგი 2:1 სოგნდალი

რუსენბორგი 1:1 ლილესტრიომი

## ჰოლანდია

მეორე დივიზიონი XXXIV ტური

ჰერაკლესი 4:1 იგლსი

## უკრაინა

უმაღლესი ლიგა XXVII ტური

ჩერნომორეცი 2:1 ოლიძსანდრია

ტავრია 1:1 ვოლინი

დნიპრო 4:2 ობოლონი

მეტალისტი 0:0 ვორსკლა

არსენალი 2:1 კრივბასი

ილიჩევეცი 1:1 შ. დონეცკი

## შვედეთი

VIII ტური

ჰალმსტადი 1:1 ელფსბორგი

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. ფინალი.



REUTERS

## ფინალისტთა ყველა ფინალი

### იუვენტუსი (6 მატჩი, 2 მოგება, 4 მარცხი, ბურთები 3:8)

30.05.1972. ბელგრადი. „ცრვენა ზვეზდა“

**აიაქსი 1:0 იუვენტუსი**

1:0 რეპი (4)
**აიაქსი:** სტუი, სუურბიერი, ჰალშოფი, ბლანკენბურგი, კროლი, ნეესკენსი, გ. მიურენი, ჰაანი, რეპი, კრუიფი, კაიცერი
**იუვენტუსი:** ძოფი, სალვადორე, მარკეტი, მორინი, ლონგობუკო, კაუზიო (კუკურედუ), ფურინო, კაპელო, ალტაფინი, ანასტაზი, ბეტეგა (ჰალერი)

25.05.1983. ათენი. „ოლიმპიური“

**ჰამბურგი 1:0 იუვენტუსი**

1:0 მაგათი (7)
**ჰამბურგი:** შტაინი, იერონიმუსი, იაკობსი, ვაინმაიერი, გროხი, როლფი, მაგათი, მილევსკი, ბასტრუპი (ვან ჰესენი), ხრუბეში
**იუვენტუსი:** ძოფი, ჯენტილე, ბრიო, შირეა, კაბრინი, ბონინი, ტარდელი, ბეტეგა, პლატინი, როსი (მაროკინო), ბონეკი

29.05.1985. ბრიუსელი. „ეიზელი“

**იუვენტუსი 1:0 ლივერპული**

1:0 პლატინი (56პ)
**იუვენტუსი:** ტაკონი, ფავერო, კაბრინი, ბრიო, შირეა, ბონინი, პლატინი, ტარდელი, ბრიაში (პრანდელი), როსი (ვინიოლა), ბონეკი
**ლივერპული:** გრობელაარი, ნილი, ბელგინი, ლაურესონი (გილესპი), ჰანსენი, ნიკოლი, დალგლიში, უილანი, უორკი, რაში, უოლში (ჯონსონი)

22.05.1996. რომი. „სტადიო ოლიმპიკო“

**იუვენტუსი 1:1(პენ.4:2) აიაქსი**

1:0 რავანელი (12), 1:1 ლიტმანენი (42)
**იუვენტუსი:** პერუცი, ფერარა, ტორიჩელი, ვერხოვოდი, პესოტო, კონტე (იუგოვიჩი 44), პაულუ სოუზა (დი ლივიო 57), დეშანი, დელ პიერო, ვიალი, რავანელი (პადოვანო 77)
**აიაქსი:** ვან დერ სარი, სილოო, ბლინდი, ფ. დე ბური (სხოლტენი 68), ბოგარდი, რ. დე ბური (ვუტერი 91), ლიტმანენი, დავიდსი, მუსამპა (კლუივერტი 46), ფინიდი, კანუ

28.05.1997. მიუნხენი. „ოლიმპიაშტადიონი“

**დორტმუნდი 3:1 იუვენტუსი**

1:0, 2:0 რიდლე (29, 34), 2:1 დელ პიერო (64), 3:1 რიკენი (71)
**დორტმუნდი:** კლოსი, კოლერი, ზამერი, კრეე, როიტერი, ლამბერტი, პაულუ სოუზა, ჰაინრიხი, მიოლერი (ცორკი 89), რიდლე (ჰერლიხი 67), შაპუიზა (რიკენი 70)
**იუვენტუსი:** პერუცი, პორინი (დელ პიერო 46), ფერარა, მონტერო, იულიანო, დი ლივიო, იუგოვიჩი, დეშანი, ზიდანი, ვიერი (ამორუზო 73), ბოკშიჩი (ტაკინარდი 88)

20.05.1998. ამსტერდამი. „ამსტერდამ არენა“

**რეალი 1:0 იუვენტუსი**

1:0 მიატოვიჩი (67)
**რეალი:** ილგნერი, პანუჩი, იერო, სანჩისი, რობერტო კარლოსი, რაული (ამავისკა 90), კარამბუ, რედონდო, ზეედორფი, მიატოვიჩი (შუკერი 89), მორიენტესი (ხაიმე 82)
**იუვენტუსი:** ვან დერ სარი, ტორიჩელი, მონტერო, იულიანო, დი ლივიო (ტაკინარდი 46), დეშანი (კონტე 78), დავიდსი, პესოტო (ფონსეკა 71), ზიდანი, დელ პიერო, ინძაგი

### მილანი (8 მატჩი, 5 მოგება, 3 მარცხი, ბურთები 17:7)

28.05.1958. ბრიუსელი. „ეიზელი“

**რეალი 3:2დ.დ. მილანი**

0:1 სკიაფინო (69), 1:1 დი სტეფანო (74), 1:2 გრილო (78), 2:2 რიალი (79), 3:2 ხენტო (107)
**რეალი:** ალონსო, ატიენსა, სანტამარია, ლესმესი, სანტისტებანი, ზარაგა, ხოესიტო, რიალი, კოპა, დი სტეფანო, ხენტო
**მილანი:** სოლდანი, ფონტანა, მალდინი, ბერალდო, ბერგამასკი, რადიჩე, დანოვა, ლიდჰოლმი, სკიაფინო, გრილო, კუჩიარონი

22.05.1963. ლონდონი. „უემბლი“

**მილანი 2:1 ბენფიკა**

0:1 ეუსებიო (19), 1:1, 2:1 ალტაფინი (58, 70)
**მილანი:** გეცი, დავიდი, მალდინი, ტრები, ბენიტეზი, ტრაპატონი, პივატელი, სანი, ალტაფინი, რივერა, მორა
**ბენფიკა:** კოშტა პერეირა, კავემი, კრუზი, უმბერტო, რაული, კოლუნა, სანტანა, აუგუსტო, ტორესი, ეუსებიო, სიმოეში

28.05.1969. მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ“

**მილანი 4:1 აიაქსი**

1:0, 2:0 პრატი (7, 40), 2:1 ვასოვიჩი (60პ), 3:1 სორმანი (67), 4:1 პრატი (75)
**მილანი:** კუდიჩინი, მალატრასი, ანკილეტი, შნელინგერი, როსატო, ტრაპატონი, ლოდეტი, რივერა, ჰამრინი, სორმანი, პრატი
**აიაქსი:** ბალსი, სუურბიერი (მიულერი), ჰალშოფი, ვასოვიჩი, ვან დიუვენბდე, პრონკი, გროოტი (ნანინგა), სვარტი, კრუიფი, დანიელსონი, კაიცერი

24.05.1989. ბარსელონა. „კამპ ნოუ“

**მილანი 4:0 სტიაუა**

1:0 გულიტი (17), 2:0 ვან ბასტენი (26), 3:0 გულიტი (38), 4:0 ვან ბასტენი (46)
**მილანი:** ჯ. გალი, ტასოტი, კოსტაკურტა (ფ. გალი 74), ბარეზი, მალდინი, კოლომბო, რაიკარდი, ანჩელოტი, დონადონი, ვან ბასტენი, გულიტი (ვირდისი 60)
**სტიაუა:** ლუნგი, იოვანი, პეტრესკუ, ბუმბესკუ, უნგურიანუ, ჰაჯი, სტოიკა, მინია, როტარიუ (ბალაჩი 46), ლეკატუში, პიცურკა

23.05.1990. ვენა. „პრატერი“

**მილანი 1:0 ბენფიკა**

1:0 რაიკარდი (68)
**მილანი:** ჯ. გალი, ტასოტი, კოსტაკურტა, ბარეზი, მალდინი, კოლომბო (ფ. გალი 89), რაიკარდი, ანჩელოტი (მასარო 72), ევანი, ვან ბასტენი, გულიტი
**ბენფიკა:** სილვინიო, ჟოზე კარლოსი, ალდაირი, რიკარდო, სამუელი, ვიტორ პანეირა (ვატა 76), ვალდო, ტერნი, ერნანი, მაგნუსონი, პაშეკუ (ბრიტო 66)

26.05.1993. მიუნხენი. „ოლიმპიაშტადიონი“

**მარსელი 1:0 მილანი**

1:0 ბოლი (44)
**მარსელი:** ბარტეზი, ანგლომა (დიურანი 61), დი მეკო, დესაი, ბოლი, ეიდელი, სოზე, დეშანი, პელე, ბოკშიჩი, ფიოლერი (ტომასი 78)
**მილანი:** როსი, ტასოტი, კოსტაკურტა, ბარეზი, მალდინი, დონადონი (პაპენი 55), რაიკარდი, ალბერტინი, ლენტინი, ვან ბასტენი (ერანიო 86), მასარო

18.05.1994. ათენი. „სპიროს ლუისი“

**მილანი 4:0 ბარსელონა**

1:0, 2:0 მასარო (22, 45), 3:0 სავიჩევიჩი (47), 4:0 დესაი (59)
**მილანი:** როსი, ტასოტი, მალდინი (ნავა 84), ფ. გალი, პანუჩი, დონადონი, დესაი, ალბერტინი, ბობანი, სავიჩევიჩი, მასარო
**ბარსელონა:** სუბისარეტა, ფერერი, კუმანი, ნადალი, სერხი (კიკე 73), გვარდიოლა, ამორი, ბაკერო, სტოიჩკოვი, რომარიო, ბეგირისტაინი (ეუსებიო 51)

24.05.1995. ვენა. „ერნსტ ჰაპელი“

**აიაქსი 1:0 მილანი**

1:0 კლუივერტი (85)
**აიაქსი:** ვან დერ სარი, რაიციგერი, ბლინდი, რაიკარდი, ფ. დე ბური, ზეედორფი (კანუ 64), დავიდსი, რ. დე ბური, ოვერმარსი, ფინიდი, ლიტმანენი (კლუივერტი 69)
**მილანი:** როსი, პანუჩი, ბარეზი, კოსტაკურტა, მალდინი, დონადონი, დესაი, ალბერტინი, ბობანი (ლენტინი 86), მასარო (ერანიო 90), სიმონე

# ...და ან ცაზე ვარსკვლავები

## ფრანკო ბარეზი

### ტანჯული დატანჯულიდან



**თუ გახსენდებათ** ფეხბურთელი, რომელიც ორთაბრძოლაში შესვლის მომენტს ფრანკო ბარეზიზე უკეთ გრძნობდა, გთხოვთ მოგვაგონოთ. ამას დაამატეთ ის, რასაც თამაშის წაკითხვას უწოდებენ. მერყდა, თითქოს მთელი მატჩის განმავლობაში მისი ხელიდან გამოსული უხილავი სხივი თანამსაჯის ალამთან კარის პარალელურ ხაზს ქმნისო და ზედაც მსაჯისგან უჩუმრად წესის დარღვევის საკმაოდ პროფესიული უნარი — თქვენს წინაშეა სრულყოფილი მცველი, რომელმაც საყვარელ საქმეს 23 დაუვიწყარი წელიწადი მიუძღვნა.

იტალიის ექვსგზის ჩემპიონი, ჩემპიონთა თასის სამგზის მფლობელი, ევროპის სუპერთასის სამგზის მფლობელი, საკონტინენტთაშორისო თასის ორგზის მფლობელი, იტალიის თასის ოთხგზის მფლობელი, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ნაკრების წევრი, „მილანის“ შემადგენლობაში 716, ხოლო „სკუადრა ადურაში“ 81 თამაშის მონაწილე...

იცით, რა დროება გადაუტანია ამ კაცს? „მილანი“ ასეთი გუნდი 1986 წლის მერე გახდა, მას შემდეგ, რაც სილვიო ბერლუსკონიმ დიდძალი ფული დაახარჯა და რაც მთავარია სწორად, თორემ მანამდე, ჯანი რივერას ეპოქის შემდეგ ორჯერ სერია B-ში გავარდა. ჯერ იყო და კორუფციაში მონაწილეობის გამო დააქვეითეს, ასე ვთქვათ ადმინისტრაციული წესით, ხოლო ამ ამბიდან ორი წლის შემდეგ, სერია A-ში დაბრუნებულმა, უკვე ძალიან ცუდი თამაშის გამო, ისევ ქვედა ლიგაში ამოყო თავი.

ფრანკო ბარეზის კი „შავ-წითელი“ ფორმა 1978 წლის მერე ეცვა.

საერთოდ, ამ ადამიანის ცხოვრება უიღბლობების და ტრაგედიების დაძლევისგან შედგებოდა. თუნდაც ის ბრძოლა, რომელშიც მან 1994 წლის ფინალის წინ ტრავმა დაამარცხა. ეს ნამდვილი მამაკაცის საქციელი და ბრძოლა იყო, თუმცა ფრანკო ბარეზის ნაცნობები მისგან სხვას არც ელოდნენ.

საინტერესო სახელწოდება აქვს ადგილს, დასახლებულ პუნქტს ბრეშასთან, სადაც „მილანის“ მომავალი კაპიტანი დაიბადა — ტრავალიატო. ეს ზუსტად თუ დაახლოებით დატანჯულს ნიშნავს.

და მართლაც, 13 წლის ფრანკოს დედა გარდაეცვალა, 17 წლისა კი მამითაც დაობლდა. წარმოიდგინეთ, როგორ ასაკში დარჩა ძმის, ჯუზეპეს და დის, ლუჩიას შემყურე და წარმოიდგინეთ, რა უნდა ელონა სამ ახალგაზრდას უპატრონოდ დატოვებული ოჯახი რომ არ ალგვილიყო პირისაგან მიწისა.

ისინი გადარჩნენ, მათ გაუძლეს, ისევე როგორც ფრანკომ გაუძლო საფეხბურთო სიძნელეებს — ჯერ კიდევ ბავშვობაში „ინტერმა“ ზედაც არ შეხედა (მისი ძმა ბეპე კი მიიღო), ხოლო შემდეგ თვით „მილანმა“ აუბზუა ცხვირი. მესამე ცდიდან გახდა 14 წლის ბარეზი „შავ-წითელთა“ ასაკობრივი გუნდის წევრი.

1978 წელს, 18 წლის მცველი დიდი გუნდის ძირითადში ჩანს — დებიუტი 23 აპრილს ვერონაში შედგა და ის თამაში „მილანმა“ 2:1 მოიგო. შემდეგ სეზონში ის უკვე „მილანის“ შემადგენლობაშია, ხოლო „მილანი“ მეათედ ხდება იტალიის ჩემპიონი.

სწორედ მაშინ დასრულდა ჯანი რივერას ერა და ზემოთ რომ ვთქვით, ის სკანდალიც აგორდა.

ახლა კიდევ ერთხელ გეტყვით სიტყვას „წარმოიდგინეთ“ — წარმოიდგინეთ, ვინ და რა კაცია ფრანკო ბარეზი, რომ აი, ამ წლებში, როდესაც „მილანი“ ქრთამის სკანდალშია გახვეული და უკვე საშინლად თამაშობს, იგი ენცო ბეარზოტის მსოფლიოს ჩემპიონატზე მიჰყავს. მერე რა, რომ მაშინ ნაკრების ძირითადში გაეტანო შირეა თამაშობდა, უკვე აშკარა გახლდათ, რომ ბარეზის დრო მოვიდოდა.

„ჩემი კარიერის ყველა ამაღელვებელი წამები ჩემპიონთა თასის და საკონტინენტთაშორისო თასის პირველად მოგება იყო. როდესაც იცი, რომ მსოფლიოს საუკეთესო გუნდში თამაშობ, განსაკუთრებული გრძნობა გეუფლება. კიდევ, ვთვლი, რომ ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო თამაში მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის ფინალი იყო ბრაზილიის წინააღმდეგ. მით უფრო, რომ საშინელ ტრავმას ვძლიე და მოედანზე გასვლის წინ არ ვიცოდი რამდენს გავძლებდი. სამწუხაროდ, წავაგეთ და იმ წამს მთელი ჩემი სამყარო დანგრეული მეგონა. იცით, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში პენალტებით წაგება თავს ულონო ადამიანად გაგრძნობინებს“ — ამბობს ტანჯვათა მძლეველი.

დღეს, ფრანკო ბარეზი „მილანს“ მომავალ თაობებს უზრდის, ახალგაზრდათა განხრით კლუბის ვიცე-პრეზიდენტია და აბა, გვითხარით, მასზე უკეთ ვინ ეტყვის ბავშვებსა და ჭაბუკებს, რა და როგორ.

**პაატუნა ძედია**



ფრანკო ბარეზის (№6) 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი მწარედ აგონდება

## მიშელ პლატინი

### აჩუქე, რა!

### ძნელად დასახატი პორტრეტი



*ტანჯვა თუ გინდა მიშელ პლატინიზე უნდა წერო. არა, მშრალად იცოცხლე, რა უნდა მაგას, თქვი, რომ დიდი ფრანგი ფეხბურთელი ზედიზედ სამჯერ (1983, 1984, 1985) წლებში აღიარეს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად, იყო იტალიის ორგზის ჩემპიონი, იტალიის თასის მფლობელი, ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი, ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელი, საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი, ევროპის სუპერთასის მფლობელი. საფრანგეთის ჩემპიონი, საფრანგეთის თასის მფლობელი, ევროპის ჩემპიონი და იტალიური სერია A-ს სამგზის საუკეთესო მოთამაშე. შემდეგ უნდა ილაპარაკო 80-იანი წლების „იუვენტუსზე“, ანუ გაიმეორო ათასგზის ნათქვამი, ახსენო მიშელ იდალგოსეული საფრანგეთის რომანტიკული გუნდი, რომელიც 1984 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა, ერთი სიტყვით, ჩამოყვე აუცილებელ სათქმელს, რომელიც იმდენია, რომ რედაქციის მიერ მონიშნულ საგაზეთო ფართობს იოლად შეგივსებს*

**მაგრამ** თუ პორტრეტი გსურს?..

ნეტავ რატომ რჩება პლატინის შესახებ უამრავი წერილის თუ თავად ვარსკვლავის ავტობიოგრაფიული წიგნის წაკითხვის შემდეგ ერთი და იგივე გრძნობა, რომ ახლახან ჩამთავრებულ ტექსტს განსხვავებულად დანახული ამბავი, თუნდაც კულისებსმიღმა თავგადასავალი აკლდა? ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, მით უფრო, თუ თვალწინ მისი შემოქმედებით და ფანტაზიით აღსავსე, სწორედ რომ განსხვავებული ხელვით ნათამაშევი მატჩები გიდგას, მაგრამ მაინც გავბედავთ და.. ვგონებთ, ყველაფერი იმის გამოა, რომ მიშელ პლატინი ბუნებით გაწონასწორებული, ბურჟუაზიული მიდრეკილების, პრაქტიკოსი ადამიანი უნდა იყოს. ანუ, იმის თქმა გვსურს, რომ ის თავისი ცხოვრებით და აზროვნებით, გნებავთ სევდიანი, გნებავთ კომიკური, გნებავთ მძაფრი, გნებავთ ფილოსოფიური ამბის მოყოლის საშუალებას არ იძლევა. პლატინი პრაგმატიკოსია, მის გარშემო შესაბამისი ისტორიები ტრიალებს და თავადაც ასეთი კუთხით აღიქვამს ყველაფერს.

მაგრამ, პორტრეტი?

შევეცდებით მის შესახებ წაკითხულიდან რამდენიმე საინტერესო ამბავი მოვიგონოთ და ჩვენს წერილში ავკინძოთ. დავიწყოთ იმით, რომ მიშელ პლატინის პაპა თუ ბაბუა, ფრანჩესკო, იტალიის ჩრდილოეთიდან, კერძოდ ტურინის რეგიონიდან, გაჭირვებას მეზობელ საფრანგეთში გაექცა. მოგეხსენებათ, იქით, ტურინისკენ, ინდუსტრიული ადგილებია, ხოლო ასეთ ადგილებს პერიოდულად ეკონომიკური კრიზისი, უმუშევრობა, წარმოების ტემპის შენელება და მსგავსი რალაცეები ახასიათებს. ერთი სიტყვით, ფრანჩესკო პლატინი შიმშილს საფრანგეთში გაერიდა.

მას ჰყავდა შვილი ალდო, რომელიც საფრანგეთში ფეხბურთის თამაშს შეუდგა — ოღონდ საშინლად უნიჭოდ — და ფრანგის ქალზეც იქორწინა. ალდოს შეეძინა მიშელი — ფრანჩესკო პაპასთვის, ალბათ, მიქელე.

პლატინის ავტობიოგრაფიიდან გვახსოვს, რომ იგი გარაჟის კარს აღწერს, რომელსაც დაუღალავად უტყაპუნებდა ბურთს. პლატინებს კაფე ჰქონდათ და მიშელი იქ იზრდებოდა.

ზემოთ ალდოს უნიჭობაზე გავბედეთ სიტყვის თქმა. რას იზამ, გაფრენილ სიტყვას ვერ დააბრუნებ, მაგრამ ის ფაქტია, რომ რამდენჯერაც ალდო შვილის ბურთაობას ჰკიდებდა თვალს, იმდენჯერ რწმუნდებოდა, რომ მის ვაჟზე ვილაც თავხედი ქართველი ჟურნალისტი ასეთ რამეს ვერ იტყოდა.

თავიდან მიშელ პლატინიმ „მეცში“ სცადა მოწყობა, მაგრამ ვილაც მეცელმა გენიოსმა მისი სიგამხდრე რომ დაინახა, უარი უთხრა. „ნანსიში“ კი იმხანად ფეხბურთელის სიგამხდრე არ აშინებდათ და სწორედ ამ გუნდის შემადგენლობაში შედგა დიდი ვარსკვლავის დებიუტი ფრანგულ ლიგაში. „ნანსიში“ თამაშით მიიპყრო მიშელმა დიდი მწვრთნელის, მიშელ იდალგოს ყურადღებაც.

აქ პლატინიმ შვიდი წელიწადი დაჰყო და საფრანგეთის თასი მოიგო, მეტი ვერაფერი. ამ დროს გამოჩნდა გამდიდრებული „სენტ ეტიენი“, რომელმაც პრაქტიკოსს ისეთი წინადადება შესთავაზა, პოეტსაც იმავე ნაბიჯს გადაადგმევინებდა.

...მივადექით 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს, ფრანგთა დაუვიწყარ ფეხბურთს და ნახევარფინალში დიდებულ გერმანელთა მიერ მათ დრამატულად, ტრაგიკულად, თუ გნებავთ ცინიკურად გამოგდებას. სხვათა შორის, იმ ამბავზე თავის წიგნში ძალიან საინტერესოდ წერს გფრ-ს გუნდის მაშინდელი მეკარე, იმ შეხვედრის ერთ-ერთი გმირი თუ ანტიგმირი (გაიხსენეთ პატრიკ ბატისტონის ეპიზოდი) ტონი შუმახერი, თუმცა ეს სხვა ამბავია და მართალია, ხელი გვექავება მის აღსაწერად, სხვა დროისთვის გადავდოთ.

ასე და ამგვარად, გერმანელებმა ფრანგები დაიფრინეს, ხოლო მიშელ პლატინი „იუვემ“ იყიდა — პრაქტიკოსი პლატინი წიგნში დაწვრილებით აღწერს ტურინელთა შეფებთან ხელფასზე ვაჭრობის ამბავს.

და, მიშელი ბედმა ფრანჩესკო პაპას დედულეთში მიიყვანა, სადაც იტალიელი მცველების სარმებთან მოუხდა შეჩვევა.

„იტალიელებმა ისეთი რამეები მასწავლეს, რაც აქ საფრანგეთში არ იციან — ამბობს პლატინი — იქ, ნახევარკუნძულზე ფეხბურთი იგივეა, რა საფრანგეთში ყველი და ღვინო. ფრანგი კარგი ღვინის დასალევად 200 კილომეტრის გავლას არ დაიზარებს, ხოლო იტალიელი კარგი ფეხბურთის ეშხით ორი იმდენს გაივლის“.

აქ, ნება გვიბოძეთ გამოვტოვოთ. ყველამ ვიცით მერე რაც მოხდა და როგორც გრგვინავდა „ბებერი ქალბატონი“. მოდი, მხოლოდ ის დავძინოთ, რომ „იუვენტუსი“, იტალიის უტიტულოვანესი კლუბი, სწორედ პლატინის მისვლის შემდეგ გახდა საერთაშორისო ტიტულების მომხვეჭი, თორემ მანამდე თანამემამულეებს პანტაპუნტით კი აწყობდა ერთმანეთზე, მაგრამ გარეთ მარცხდებოდა — გარდა ერთი შემთხვევისა, როდესაც უეფას თასი მოიგო.

და ბოლოს, ხომ არ ფიქრობთ, რომ იტალიურ გუნდებს ულამაზო თამაშში მხოლოდ ახლა სდებენ ბრალს? ეს ოდინდელი ტრადიციაა, რომელსაც, შეუნდე მამაო და პლატინის დროსაც კი მისდევდნენ მავანნი და მავანნი.

„იოლად შემიძლია კრიტიკოსები გავაჩუმო, დავუმტკიცო, რომ ჩვენ ამაღელვებლად ვთამაშობდით — ბრძანებს ჩვენი წერილის გმირი — იყიდონ ვიდეო და მე კასეტას ვათხოვებ. დარწმუნდებით, რომ არ ვიტყუები“.

ცხადია, არ იტყუება, რაზეა ლაპარაკი, მაგრამ... ეს ვათხოვებ რა ჯანდაბაა, აჩუქე, რა!

**პაატუნა ძედია**



„იუვენტუსის“ დიდი გამარჯვებები მიშელ პლატინის გარეშე წარმოუდგენელია

# ავიღოთ გვირილა და დავიწყოთ: მოიგებს, ვერ მოიგებს...

*ჩემპიონის ვინაობა ვიცით? არა. ლიგაში ვინ გადის ვიცით? არა. უეფას თასზე ვინ გადის ვიცით? არა. ვინ ვარდება ვიცით? არა. ერთი სიტყვით, ვიცით ის, რომ არაფერი ვიცით. ვარიანტები კი, იცოცხლეთ, ბევრია, ხოლო დასასრულამდე სამი ტურიღა დარჩა. ეს ესპანური პრიმერადივიზიონია.*




„სოსიედადი" გარბის, „რეალი" დაწევას ლამობს

## ჩემპიონობა

დღეისთვის ჩემპიონობის შანსი სამ გუნდს აქვს, „სოსიედადს", „რეალს" და „დეპორტივოს". თუმცა პირველ ორთან შედარებით, ლაკორუნიელთა შანსი ერთობ მოკრძალებულია, რადგან დიდად არის დამოკიდებული დაწინაურებულთა შედეგებზე.

„დეპორტივომ" „სოსიედადს" რომ გაუსწროს, ბასკებმა ორი თამაში უნდა წააგონ (იგულისხმება, რომ „დეპორტივო" სამივე დარჩენილ მატჩს მოიგებს). ამ შემთხვევაში მათ თანაბარი ქულები დაუგროვდებათ, მაგრამ „დეპორტივო" ურთიერთშეხვედრებში „სოსიედადს" სჯობნის:

**სოსიედადი 1:1 დეპორტივო**
**დეპორტივო 2:1 სოსიედადი**

ვისთან შეიძლება დამარცხდეს „სოსიედადი"? პრინციპში, ყველასთან — ძალიან ცუდი გრაფიკი აქვს. მოვყვეთ: ჯერ მასპინძლობს „ვალენსიას", რომელმაც ბოლო ორი თამაში კი წააგო, მაგრამ მაინც „ვალენსიაა" და თან ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილისთვის იბრძვის. „ვალენსიას" მერე „სოსიედადი" „სელტას" ესტუმრება, რომელიც ვალენსიელებს ჩემპიონთა ლიგის ადგილისთვის ეცილება და წინა ტურში „დეპორტივოს" მოუგო. ბოლოს კი სტუმრობს „ატლეტიკოს", რომელიც ხასიათის გუნდია, დიდებს უგებს, პატარებთან კი მარცხდება. „ატლეტიკო" უეფას თასის საგზურისთვის იბრძვის, თან ფერნანდო ტორესი ტრავმის შემდეგ ტრიუმფით დაუბრუნდა (წინა ტურში დუბლი შეასრულა).

დავძინოთ, რომ „სოსიედადს" ბოლო ხანს უჭირს, თუმც მაინც იგებს. გავიხსენოთ: „უელვას" გაჭირვებით მოუგო 1:0, არადა, თავისუფლად შეიძლებოდა, დამარცხებულიყო. წინა ტურში კი „მალაგა" მხოლოდ მას მერე დაჩაგრა, რაც მასპინძლებს ფეხბურთელი გაუგდეს. ასე რომ, ძალიან დიდი ეგებ არა, მაგრამ მაინც არის იმის შანსი, რომ სანსებასტიანელებმა დარჩენილ სამ ტურში ექვსი ქულა დაკარგონ.

„დეპორტივომ" „რეალსაც" რომ გადაუსწროს, ამისთვის მადრიდელებმაც ექვსი ქულა უნდა დაკარგონ (ისევ იმის გათვალისწინებით, რომ „დეპორტივო" სამივე თამაშს მოიგებს). მართალია, ამჟამად „რეალი" „დეპორს" ხუთი ქულით უსწრებს, მაგრამ თანაბარქულიანობის შემთხვევაში უკეთესი დამატებითი მაჩვენებელი „რეალს" აქვს:

**დეპორტივო 0:0 რეალი**
**რეალი 2:0 დეპორტივო**

და ვისთან შეიძლება დამარცხდეს „რეალი"? მისი მეტოქეები „სელტა" (შინ), „ატლეტიკო" (სტუმრად) და „ბილბაო" (შინ) არიან. „სელტასა" და „ატლეტიკოზე" ზემოთ უკვე მოგახსენეთ, „ბილბაო" კი მეექვსე, საუეფასთასო ადგილზე გასვლის უმთავრესი კანდიდატია და, ვინ იცის, ეგებ ჩემპიონთა ლიგასაც შეწვდეს.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „სოსიედადის" და „რეალის" ერთდროულად ორ-ორი დამარცხება და ამასთანავე, „დეპორტივოს" ზედიზედ სამი მოგება ძალიან ძნელი წარმოსადგენია, თორემ ან „სოსიედადმა" წააგოს, ან „რეალმა", ან „დეპორტივომ" მოიგოს, სავსებით შესაძლებელია.

ახლა ასეთი ვარიანტი გავარჩიოთ: ვთქვათ, „სოსიედადმა" ორი თამაში მოიგო, ერთი კი წააგო, ხოლო „რეალმა" ორი მოიგო და ერთიც ფრედ ითამაშა. დაგვეთანხმებით, სავსებით რეალური ვარიანტია. ამ შემთხვევაში ისინი თანაბარ ქულებს აგროვებენ და საქმე ურთიერთშეხვედრებზე მიდგება. აქ კი ასეთი ვითარებაა:

**რეალი 0:0 სოსიედადი**
**სოსიედადი 4:2 რეალი**

ანუ უპირატესობა ბასკური გუნდის მხარესაა. სხვაგვარად, „რეალმა" თუ ერთი თამაში ფრედ დაასრულა, „სოსიედადს" ერთი მატჩის წაგების უფლება აქვს.

## ჩემპიონთა ლიგა

აქაც იგივე ამბავია, რაც ჩემპიონობაზე. შანსიანი სამი გუნდია, რომელთაგან ორს ბევრად მეტი და ერთმანეთთან მიმართებაში თითქმის თანაბარი შანსი აქვთ.

განვმარტოთ: ლაპარაკი გვაქვს მეოთხე საჩემპიონთალიგო ადგილზე, თორემ „სოსიედადი", „რეალი" და „დეპორტივო" რომ ითამაშებენ, გადაწყვეტილი ამბავია.

იმ ერთი დარჩენილი ადგილისთვის „სელტა", „ვალენსია" და „ბილბაო" იბრძვიან.

„სელტას" ისეთი განრიგი აქვს, უარესს ვერ წარმოიდგენს: „რეალი", „სოსიედადი", „ბარსელონა". ამიტომ მოსალოდნელია, რომ ბლომად ქულებს დაკარგავს.

„ვალენსიასაც" ცუდი განრიგი აქვს, თუმცა, ოდნავ უკეთესი: „სოსიედადი", „ბარსელონა", „სევილია". ცოტა უკეთესში, ცხადია, „სევილიას" ვგულისხმობთ, რომელსაც იმ დროისთვის, ანუ ბოლო ტურის წინ უეფას თასზე გასვლის შანსი დაკარგული თუ ექნა, ეგებ შარშანდელ ჩემპიონს დიდად არ გაუძალიანდეს.

განრიგით კმაყოფილი არც „ბილბაო" უნდა იყოს: „ვილიარეალი", „დეპორტივო", „რეალი". თუმც მაინც ვფიქრობთ, რომ ყველაზე უკეთესი კალენდარი მაინც ბასკებს აქვთ, რაკი „ვილიარეალს" ალარაფერი უნდა, „დეპორტივოს" იმ დროისთვის ეგებ გადაწურული ჰქონდეს ჩემპიონობის იმედი და ბასკებს „რეალიღა" შერჩებათ.

ახლა თანაბარქულიანობის შემთხვევები გავარჩიოთ:

**ვალენსია 0:1 სელტა**
**სელტა 1:1 ვალენსია**

ანუ უპირატესობა ვიგოელთა მხარესაა.

**ბილბაო 2:1 სელტა**
**სელტა 2:1 ბილბაო**

ანუ გადამწყვეტი კრიტერიუმი ბურთების სხვაობა იქნება, რაშიც ახლა „სელტა" იგებს — შვიდით მეტი.

**ვალენსია 5:1 ბილბაო**
**ბილბაო 1:0 ვალენსია**

უპირატესობა „ვალენსიას" მხარესაა.

ხოლო თუ ისე მოხდა, რომ სამივე გუნდმა თანაბარი ქულები დააგროვა, მათ შორის საუკეთესო ისევ „სელტაა".

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტა | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ბილბაო | 4 | 2 | 0 | 2 | 5:8 | 6 |
| ვალენსია | 4 | 1 | 1 | 2 | 6:4 | 4 |

## უეფას თასი

ესპანეთიდან უეფას თასზე სამი გუნდი გადის — ორი პრიმერადივიზიონიდან (მე-5 და მე-6 ადგილების მფლობელები) და ერთიც სამეფო თასის მომგები. თასის ფინალში „მალიორკა" და „უელვა" არიან გასულები, თამაში კი 28 ივნისს, სეზონის ბოლო მატჩად გაიმართება.

აქ ერთი აუცილებელი განმარტება გავაკეთოთ: თუ თასის მფლობელი ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს, მაშინ დამარცხებული ფინალისტი უეფას თასზე გადის, მაგრამ თუ თასის მფლობელი ჩემპიონატში მხოლოდ საუეფასთასო ადგილს დაიკავებს, უეფას თასზე დამარცხებული ფინალისტის ნაცვლად მეშვიდეადგილოსანი გუნდი გავა.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თუ „მალიორკამ" თასი მოიგო და მეექვსე ადგილზეც გავიდა (მეხუთე ადგილს ვერ შესწვდება) უეფას თასზე მასთან ერთად მეხუთე და მეშვიდე ადგილებზე გასული გუნდები ითამაშებენ. ხოლო თუ თასი „უელვამ" მოიგო, რაკი მეექვსე ადგილამდე ვერაფრით აღწევს, უეფას თასზე მასთან ერთად მეხუთე და მეექვსე ადგილებზე გასული გუნდები ითამაშებენ.

ახლა ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ თუ „სელტა" ჩემპიონთა ლიგას ვერ შეწვდება, უეფას თასზე უეჭველად ითამაშებს. აი, „ვალენსია" კი შესაძლოა, უეფას თასის გარეშეც დარჩეს. მისი გადასწრების შანსი „ბილბაოს" აქვს, ხოლო ერთბაშად ოთხ გუნდს მასთან ქულებით გათანაბრება შეუძლია. ამ ოთხიდან „ატლეტიკო" და „მალიორკა" „ვალენსიას" ურთიერთშეხვედრების შედეგებით სჯობნიან, სხვა ორთან კი — „ბარსელონასთან" და „სევილიასთან" — „ვალენსიას" ჯერ კიდევ სათამაში აქვს. თუმცა მეორე მხრივ, საეჭვოა, შარშანდელმა ჩემპიონმა დარჩენილ სამ ტურში ერთი ქულა ვერ აიღოს, რაც საუეფასთასოდ ჰყოფნის.

უეფას თასზე მოხვედრის მეორე მთავარი პრეტენდენტის, „ბილბაოს" კალენდარი ზემოთაც გავარჩიეთ და აღვნიშნეთ, რომ ქულების მოხვეჭა უნდა გაუჭირდეს, რაც მის ქვემოთ მყოფ ოთხ ჯერჯერობით თანაბარქულიან გუნდს საკმაო შანსს უტოვებს. და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სამეფო თასის „მალიორკას" მიერ მოგების შემთხვევაში შესაძლოა უეფაზე მეშვიდეადგილოსანი გუნდიც გავიდეს, დღეისთვის მეშვიდეობის თეორიული შანსი „ოსასუნასაც" კი აქვს.

საბოლოოდ, ვარიანტთა ისეთ ურიცხვ რაოდენობას ვიღებთ, რომ მათი სათითაოდ გარჩევა კომპიუტერსაც კი გაუჭირდება.

## გასავარდნები

ბოლოდან მოვყვეთ: „რაიო ვალეკანოს" სასწაული თუ იხსნის. საამისოდ მადრიდელებმა სამივე თამაში უნდა მოიგონ, „ოსასუნამ" კი ერთ ქულაზე მეტი ვერ უნდა მოიხვეჭოს. ამ შემთხვევაში მათ თანაბარი ქულები დაუგროვდებათ და ურთიერთშეხვედრებს მიენიჭება უპირატესობა. აქ კი:

**ოსასუნა 0:1 რაიო**
**რაიო 0:0 ოსასუნა**

ანუ უპირატესობა „რაიოს" მხარესაა. მაგრამ შესაძლოა არც ეს იყოს საკმარისი, თუ „ალავესი" ან „უელვა" ხუთი ქულის აღებას შეძლებენ. ისე, „რაიო" „უელვას" ბოლო ტურში ხვდება.

საბოლოოდ დასკვნა: „ოსასუნამ", „უელვამ" და „ალავესმა" ეგებ თამაშები წააგონ კიდეც, მაგრამ „რაიო" სამივე თამაშის მომგებია?

დღეისთვის გავარდნისგან დაზღვეული „მალაგა" და მის ზემოთ მყოფი გუნდები არიან. თეორიულად, „მალაგს" დაწევა „უელვას" და „ალავესს" შეუძლიათ, მაგრამ მალაგელები ურთიერთშეხვედრებში ორთავეს სჯობნიან.

რეალურად კი ბოლო სამი გუნდის გარდა გავარდნა „რასინგს" და „ოსასუნას" ემუქრებათ. აქედან გამომდინარე, დარჩენილ ტურებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება „ოსასუნა" — „ალავესისა" და „რასინგი" — „ოსასუნას" მატჩებს.

**გიორგი დარჯანია**

## ბოლო სამი ტური

| 1 ივნისი | 15 ივნისი | 22 ივნისი |
|---|---|---|
| ბარსელონა – მალაგა | ბილბაო – დეპორტივო | ბარსელონა – სელტა |
| დეპორტივო – ატლეტიკო | ატლეტიკო – რეალი | დეპორტივო – ესპანიოლი |
| მალიორკა – რაიო | სელტა – სოსიედადი | მალიორკა – მალაგა |
| სოსიედადი – ვალენსია | ესპანიოლი – ვილიარეალი | რაიო – უელვა |
| სევილია – უელვა | ოსასუნა – ალავესი | სოსიედადი – ატლეტიკო |
| ვილიარეალი – ბილბაო | ვალენსია – ბარსელონა | სევილია – ვალენსია |
| ვალიადოლიდი – ოსასუნა | მალაგა – სევილია | ვილიარეალი – ბეტისი |
| რასინგი – ესპანიოლი | უელვა – მალიორკა | რასინგი – ოსასუნა |
| ალავესი – ბეტისი | ბეტისი – რასინგი | ალავესი – ვალიადოლიდი |
| რეალი – სელტა | ვალიადოლიდი – რაიო | რეალი – ბილბაო |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 სოსიედადი | 35 | 21 | 9 | 5 | 65:41 | 24 | 72 | 17 | 12 | 5 | 0 | 37:17 | 20 | 41 | 18 | 9 | 4 | 5 | 28:24 | 4 | 31 |
| 2 რეალი | 35 | 20 | 11 | 4 | 78:40 | 38 | 71 | 17 | 12 | 4 | 1 | 48:20 | 28 | 40 | 18 | 8 | 7 | 3 | 30:20 | 10 | 31 |
| 3 დეპორტივო | 35 | 20 | 6 | 9 | 60:41 | 19 | 66 | 17 | 11 | 3 | 3 | 36:15 | 21 | 36 | 18 | 9 | 3 | 6 | 24:26 | -2 | 30 |
| 4 სელტა | 35 | 16 | 9 | 10 | 41:31 | 10 | 57 | 18 | 9 | 6 | 3 | 26:13 | 13 | 33 | 17 | 7 | 3 | 7 | 15:18 | -3 | 24 |
| 5 ვალენსია | 35 | 16 | 8 | 11 | 51:31 | 20 | 56 | 18 | 10 | 3 | 5 | 29:12 | 17 | 33 | 17 | 6 | 5 | 6 | 22:19 | 3 | 23 |
| 6 ბილბაო | 35 | 14 | 9 | 12 | 58:55 | 3 | 51 | 18 | 10 | 3 | 5 | 27:18 | 9 | 33 | 17 | 4 | 6 | 7 | 31:37 | -6 | 18 |
| 7 ატლეტიკო | 35 | 12 | 11 | 12 | 49:46 | 3 | 47 | 18 | 8 | 5 | 5 | 28:21 | 7 | 29 | 17 | 4 | 6 | 7 | 21:25 | -4 | 18 |
| 8 სევილია | 35 | 12 | 11 | 12 | 35:33 | 2 | 47 | 17 | 7 | 7 | 3 | 23:16 | 7 | 28 | 18 | 5 | 4 | 9 | 12:17 | -5 | 19 |
| 9 ბარსელონა | 35 | 12 | 11 | 12 | 56:45 | 11 | 47 | 17 | 8 | 5 | 4 | 39:23 | 16 | 29 | 18 | 4 | 6 | 8 | 17:22 | -5 | 18 |
| 10 მალიორკა | 35 | 13 | 8 | 14 | 46:54 | -8 | 47 | 17 | 6 | 4 | 7 | 23:32 | -9 | 22 | 18 | 7 | 4 | 7 | 23:22 | 1 | 25 |
| 11 ბეტისი | 35 | 11 | 12 | 12 | 46:49 | -3 | 45 | 18 | 8 | 6 | 4 | 26:18 | 8 | 30 | 17 | 3 | 6 | 8 | 20:31 | -11 | 15 |
| 12 მალაგა | 35 | 10 | 13 | 12 | 40:44 | -4 | 43 | 18 | 7 | 7 | 4 | 26:19 | 7 | 28 | 17 | 3 | 6 | 8 | 14:25 | -11 | 15 |
| 13 ვილიარეალი | 35 | 11 | 10 | 14 | 39:45 | -6 | 43 | 17 | 8 | 4 | 5 | 22:16 | 6 | 28 | 18 | 3 | 6 | 9 | 17:29 | -12 | 15 |
| 14 ესპანიოლი | 35 | 10 | 12 | 13 | 43:45 | -2 | 42 | 18 | 8 | 5 | 5 | 28:21 | 7 | 29 | 17 | 2 | 7 | 8 | 15:24 | -9 | 13 |
| 15 ვალიადოლიდი | 35 | 11 | 9 | 15 | 34:37 | -3 | 42 | 17 | 8 | 4 | 5 | 21:15 | 6 | 28 | 18 | 3 | 5 | 10 | 13:22 | -9 | 14 |
| 16 რასინგი | 35 | 12 | 5 | 18 | 45:55 | -10 | 41 | 17 | 8 | 2 | 7 | 22:17 | 5 | 26 | 18 | 4 | 3 | 11 | 23:38 | -15 | 15 |
| 17 ოსასუნა | 35 | 9 | 11 | 15 | 31:44 | -13 | 38 | 18 | 7 | 3 | 8 | 18:22 | -4 | 24 | 17 | 2 | 8 | 7 | 13:22 | -9 | 14 |
| 18 ალავესი | 35 | 8 | 10 | 17 | 35:62 | -27 | 34 | 17 | 5 | 7 | 5 | 17:18 | -1 | 22 | 18 | 3 | 3 | 12 | 18:44 | -26 | 12 |
| 19 უელვა | 35 | 8 | 10 | 17 | 34:59 | -25 | 34 | 18 | 5 | 7 | 6 | 23:23 | 0 | 22 | 17 | 3 | 3 | 11 | 11:36 | -25 | 12 |
| 20 რაიო ვალეკანო | 35 | 7 | 9 | 19 | 30:59 | -29 | 30 | 18 | 4 | 7 | 7 | 17:24 | -7 | 19 | 17 | 3 | 2 | 12 | 13:35 | -22 | 11 |

*თანაბარქულიანი გუნდებს შორის უპირატესობა ენიჭება ურთიერთშეხვედრებში უკეთესი შედეგის მქონეს*

# პატარა ბიჭი და პატარა გოგო

## ინგლისი ესპანეთში ნებივრობს, ბექემი ამერიკაში







**სოლ კემპბელის** დარად თუ არა, რიო ფერდინანდივით გამჟვებას ინგლისის ნაკრების თითქმის ყველა წევრი მოასწრებს — სამხრეთ აფრიკასთან მოგებული ამხანაგური მატჩის შემდეგ, სვენ გორან ერიკსონმა თავისი ბიჭები ესპანურ კურორტ ლა მანგაზე წაასხა და სწორედ იქ მოამზადებს სლოვაკეთთან შესარჩევი შეხვედრისთვის.

ჩვენი გაგებით, ინგლისელთა შეკრება ოდნავ უცნაურად გამოიყურება: დღეში ორჯერადი ვარჯიშები, თავისუფალ დროს კი ოჯახის წევრებთან ერთად ლაღობა. საქმე ის გახლავთ, რომ ფეხბურთის ასოციაციამ მოთამაშეებს ნება დართო, ამ შეკრებაზე ცოლები და გელფრენდები კი არა, თვით ძუძუმწოვარა ბავშვებიც კი წაეყვანათ. ჰოდა, დახეთ, როგორ ჩასძინებია დედის მკერდზე სამი კვირის ჯემა როუზს, გვარად ოუენს და მაიკლის ასულს.

აი, უეინ რუნი კი ჯერ თავად ბავშვია, 17 წლის. შეყვარებულიც თავის კბილა ჰყავს — სკოლის მოსწავლე და ინგლისში პოპულარული ერთ-ერთი თინეიჯერული სერიალის ვარსკვლავი კოლინ მაკლაფლინი. კვირაში 13 ათას გირვანქას შოულობს რუნი და გელფრენდის სადმე სხვაგან წაყვანა არ გაუჭირდებოდა, თუმცა ახლა მისი ახლადმორჩენილი ფეხები სამშობლოს სჭირდებოდა და თანაც, არც ლა მანგა უნდა ჩანდეს მთლად ურიგო ადგილი.

მაჯადაშავებული დევიდ ბექემი კი სლოვაკეთთან ისედაც ვერ ითამაშებდა ორი გაფრთხილების გამო, ამიტომ შორეულ ლოს ანჯელესში ვიზიტი ადრევე დაგეგმა. მსოფლიოს კინოცენტრში ამ უქმეებზე MTV-ის მორიგი დაჯილდოება-შოუ იმართება და ბექემიანთ ოჯახიც სწორედ ამ ტელეკომპანიამ მიიპატიჟა. ცოლ-ქმარს თან ბავშვებიც, ბრუკლინი და რომეო, ახლავთ. მათი ფოშ-სფაის დედა პარალელურად კინოინდუსტრიის ბოსებთან მოლაპარაკებებს გამართავს შესაძლო სამსახიობო კარიერის შესახებ.

**გიგა ძოგახიძე**

# Copa Toyota Libertadores 2003

## ლიბერტადორესის თასი 2003

### მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი

**ამერიკა (კოლუმბია) 4:1 რივერ პლეიტი (არგენტინა) (1:2)**

1:0, 2:0 ვასკესი (29, 35), 3:0 კასტილიო (41), 3:1 ლუდუენა (68), 3:2 მორენო (90)

ამერიკა: რ. საპატა, ლ. ასპრილია, ტიერადენტრო, ა. გონსალესი, ვირვისკასი, ბუსტოსი, ბანგუერო (კ. ანგულო 8), ფ. ვარგასი, დ. ფერეირა (ლ. მორენო 75), ხ. კასტილიო, ხ. ვასკესი (ჩანო 64)

რივერ პლეიტი: ბულიუბასიჩი, გარსე, დემიკელისი, ამელი, ლეკუე (ლ. გონსალესი 46), კ. უსაინი, კუდეტი, ვ. საპატა (ლუდუენა 63), დალესანდრო, ფუერტესი (დ. უსაინი 73), კავენაგი

გაძევება: ვირვისკასი (45), კ. უსაინი (88), დ. უსაინი (88), ასპრილია (88), გარსე (88)

მსაჯი: გუსტავო მენდესი (ურუგვაი)

45 000 მაყურებელი



კლაუდიო უსაინი პოლიციის გასაპარებელი შეიქნა

# რამ გადარია დარიო

## აბა, რა ეგონა კასტროს, ბურთს რომ მალავდა

**ერთ მატჩში** ხუთ ფეხბურთელს რომ გააძევებენ, ესე იგი, რა თამაშია...

ლიბერტადორესის თასის საპასუხო მეოთხედფინალურ შეხვედრაში კოლუმბიურმა „ამერიკამ" სრულად იძია შური „რივერ პლეიტზე" არა მხოლოდ პირველ მატჩში დამარცხებისთვის, იმისთვისაც, რომ თავის დროზე „რივერს" ორჯერ დაემარცხებინა „ამერიკა" თასის ფინალში. ეს 1986 და 96 წლებში მოხდა. ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ „ამერიკა" სულ ოთხჯერ გასულა ლიბერტადორესის თასის ფინალში და ოთხჯერვე დამარცხდა.



„რივერის" მწვრთნელი მანუელ პელეგრინი, ცხადია, უგუნებოდ იყო

ამ თამაშში კოლუმბიელმა ფორვარდმა ხულიან ვასკესმა ექვსწუთიან მონაკვეთში ორი გოლი გაიტანა და ორი მატჩის ჯამში „ამერიკა" დააწინაურა. პირველად ის ლუის ასპრილიამ გაიყვანა საგოლე პოზიციაზე, მეორე გოლისას კი არგენტინელებს მისი მეურვეობა დაავიწყდათ.

გამოხდა რამდენიმე წუთი და მასპინძლებმა სოლიდური მარაგიც შეიქმნეს. მესამე გოლი ხაირო კასტილიომ კი გაიტანა, მაგრამ მომენტი მთლიანად კილიან ვირვიესკარისა იყო. მან ორი მცველი გაიტყუა, მოატყუა და უკან დაუგორა ბურთი კასტილიოს.

„რივერს" უკვე ორი ბურთის გაქვითვა მართებდა, რისი მოხერხების იმედიც ზედ შესვენების წინ გაუჩნდა — ურუგვაელმა მსაჯმა გუსტავო მენდესმა უხეშობისთვის მესამე გოლის თანაავტორი ვირვიესკარი გააძევა.

მეორე ტაიმი დაიწყო. „ამერიკამ", როგორც ჩანს, პირველი ტაიმის სამი გოლი იკმარა და თავდაცვას მიჰყო ხელი. „რივერი" კი უტევდა, მაგრამ გოლი არ ჩანდა. თამაშის დასრულებამდე 22 წუთით ადრე არგენტინელებმა, როგორც იქნა, ერთი ბურთი გაქვითეს, დანიელ ლუდუენამ გაიტანა. კიდევ ერთიც და, „ამერიკას" საქმე ცუდად წავიდოდა. დრო საკმარისად რჩებოდა და, რა გასაკვირია, რომ „რივერი" გამძაგებით განაგრძობდა შეტევას.

ბოლოსკენ კი, აი, რა მოხდა: ბურთი აუტში გავიდა. მასპინძელთა მწვრთნელმა ფერნანდო კასტრომ ბურთს ხელი დაავლო და დაბრუნებას არ ჩქარობდა, დრო გაჰყავდა. ცხადია, რომ არგენტინელები ამან სულ მთლად გადარია. კასტროს დარიო უსაინი მიეჭრა და ხელი ჰკრა. იქვე უსაინის ძმა და თანაგუნდელი კლაუდიოც გაჩნდა და მწვრთნელს ერთი ორიც უთავაზა. კასტროს მისი შეგირდები გამოექომაგნენ და ატყდა, მაგრამ რა ატყდა. მსაჯმა ორივე უბნერი გააგდო და მასპინძელი ლუის ასპრილიაც ზედ მიაყოლა.

თამაში რის ვაი-ვაგლახით განახლდა და მაშინვე რივერელმა ერნან გარსემ მეტოქეს ისე ჩასცხო, ისიც გააწითლეს. მეორე წამატებულ წუთზე კი არეულ „რივერს" ლეონარდო ფაბიო მორენომ მეოთხეც გაუტანა და „ამერიკამ" თავი ნახევარფინალში დაიგულა.

**გიორგი დარჯანია**

# ტერორისტი გამოძახებით

## ესროლე პირდაპირ... ფეხებში

როგორ უნდა მოიქცეს მწვრთნელი, თუ ფეხბურთელებს სიზარმაცე შეეპარათ? ერთი თვის ხელფასი დაუქვითოს? გუნდიდან გაგდებით დაემუქროს? როგორ გეკადრებათ! გაცილებით უკეთესი ხერხიც არსებობს.

მაგალითად, კოლუმბიელი ფორვარდი ფაუსტინიო ასპრილია გამოიძახოს და იგი ორი... გასროლით ყველა პრობლემას მოაგვარებს.

ევროპამოვლილი ასპრილია სამხრეთ ამერიკას დაუბრუნდა. ამჟამად იგი ჩილეში, „უნივერსიდად დე ჩილეს" ღირსებას... ცეცხლსასროლი იარაღით იცავს.



ფაუსტინო ასპრილია

კოლუმბიელი მეგოლე ტრავმირებული იყო და გამოჯანმრთელების შემდეგ გუნდის ბაზას მიადგა. ნახა, რომ მისი თანაგუნდელები მოედანზე ვარჯიშის ნაცვლად ღლაბუცობდნენ. ფაუსტინიოს ხელში დამბაჩამ გაიელვა და ჰაერში ორჯერ გასროლით ვითომ მოვარჯიშენი ისე დააფრთხო, მგონი, უნივერსიდადელებმა მსოფლიოში უსწრაფესი კვადრატი გაარბლეს.

კოლუმბიელი ნაგიჟარია, მისგან ყველაფერი მოსალოდნელიაო, იფიქრეს ფეხბურთელებმა და სერიოზულ ვარჯიშს შეუდგნენ.

ცხადია, სროლის ხმამ კლუბის პრეზიდენტის ყურამდეც მიაღწია. რენე ოროსკომ ჟურნალისტები დაამშვიდა, ეს მხოლოდ ხუმრობა გახლდათო. აღმოჩნდა, რომ სათამაშო დამბაჩა ყოფილა. თვითმხილველთა ვარაუდით, ფაუსტინიო ასპრილია შეზარხოშებული მიბრძანდა ვარჯიშზე, რაც პრეზიდენტმა ხანგრძლივი თავის ქნევით უარყო. გუნდის მწვრთნელ ვიქტორ კასტანედასა და ფეხბურთელებს მომხდარის შესახებ კომენტარი ვერ დასცინცლეს.

შეგახსენებთ, რომ ასპრილიამ 1995 წელს კოლუმბიის კურორტ კარტახენაში ცეცხლსასროლით ფოიერვერკი მოაწყო, 2000-ში კი 38-კალიბრიანი „ფიშტოს" უკანონოდ შენახვა-ტარებისთვის დააპატიმრეს.

**გაგა ხუციშვილი**

# ფრთხილად, ბარსელო ხალხო, არჩევნებია! ნეტავი, ენას ძვალი ჰქონდეს...



ლუის ბასატმა, ამირჩიეთ და სპორტულ დირექტორად ხოსეპ გვარდიოლას დავნიშნავო

„ამირჩიეთ და მე თქვენ ფიგუს გიყიდით“ — უთხრა ფლორენტინო პერესმა გულშემატკივრებს და შეასრულა. მას შემდეგ ორი წელი გავიდა, მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა ლუიშ ფიგუს ზინედინ ზიდანიც მიაბა.

პრეზიდენტის არჩევნების მოლოდინში ამჯერად ბარსელონაა. კატალონიელებს „ბარსას“ კვლავ აყვავება სწადიათ. კანდიდატები ბლომად არიან: ლუის ბასატი, ხორდი მედინა, ხუან ლაპორტა და ხოსე მარია მინგეია.

მათ ფლორენტინო პერესის ნაცად ხერხს მიმართეს. წინადადებას ასე იწყებენ: „ამირჩიეთ და მე თქვენ გიყიდით...“ განსხვავება ისაა, რომ პერესმა შესაძენი ფეხბურთელის გვარ-სახელიც დააკონკრეტა, ზოგი კატალონიელი კანდიდატი კი სიტყვაძუნწობს. ორმა ასარჩევმა დასჭექა, როგორც კი პრეზიდენტის სავარძელს მოვიხელთებ, ყანჯრიდან „ბარსელონას“ მაისურაში გამოწყობილ... დევიდ ბექჰემს დაგანახებთო.

ცნობილია, ბექჰემის „მანჩესტერში“ დარჩენის ამბავი გადაწყდა და ძნელად წარმოსადგენია, ინგლისელი „კამპ ნოუზე“ აღმოჩნდეს. თუმცა ლუიშ ფიგუს „გამეფებისაც“ არავის სჯეროდა. ბოლოს მაინც „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ნახეს.

ხორდი მედინამ კატალონიელი გულშემატკივარი უკვე დაარწმუნა, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში „ბარსელონას“ კლაუს ტოპმიოლერი გაწვრთნის. მედინას მხოლოდ მწვრთნელი კი არა, ოთხი ბუნდესლიგელი ფეხბურთელიც შეუხუჭუჭებია, რომლებსაც ტოპმიოლერი თან წაიყვანს. ბუნდესლიგელების გარდა ერთ-ერთი ჰოლანდიური გუნდიდან კიდევ სამი მოთამაშის შეძენას ჰპირდება, რომელთაგანაც ჰოლანდიელი ერთიც არაა. ოღონდ დასძინა, ისინი ევროკავშირელები არიან და უცხოელებად არ ჩაითვლებიანო. ხორდი მედინამ არჩევნებამდე ფეხბურთელთა გვარების დასახელებისგან თავი შეიკავა.

ხუან ლაპორტამ კოლეგას მიჰბაძა და „ბარსელონას“ გულშემატკივრებს აცნობა, თქვენთვის სამი დიდი მოთამაშე მყავს გამზადებული, ოღონდ მათი ვინაობის გამხელას ჯერ ნუ მომთხოვთო.

ხოსე მარია მინგეიამ თქვა, დასამალი არაფერი მაქვს, თუ ამირჩევთ, მწვრთნელად რისტო სტოიჩკოვს დავნიშნავო.

რაც შეეხება ლუის ბასატს, მან ფარდა ახადა, ხმაო უმრავლესობით მიმიტყუეთ და კლუბის სპორტულ დირექტორად ხოსეპ გვარდიოლას გავაწვევ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ლულა-ამბები

## ვიეირამ და ბერხკამპმა არსენალს ერთგულება შეჰფიცეს

**განვლილ სეზონში** „მეთოფეებმა“ მხოლოდ ერთხელ გაისროლეს. „არსენალმა“ ოდენ ასოციაციის თასის მოგებით გაიხარა.

კლუბი ახალ სტადიონს აშენებს. მშენებლობა რამდენიმე ასეულ მილიონ გირვანქას შეხვრეპს და არსენ ვენგერსაც გუნდის გასაძლიერებლად ორიოდ პენსიდა დარჩა. ამიტომ ლონდონელები შემადგენლობის შენარჩუნებას ეშურებიან.

„არსენალის“ კაპიტანი პატრიკ ვიეირა სენეგალში მხართეძოზეა წამოწოლილი. მან „მეთოფეებს“ და არსენ ვენგერს სიყვარული აფრიკიდან შეჰფიცა. კაპიტანმა თქვა, „თქვენი ვარ, თქვენთვის მოვკვდები...“ ვიეირას ლონდონში კიდევ ოთხი წლით დარჩენა სურს. ენაგრძელები მადრიდის „რეალში“ მის გადასვლაზე ბევრს კი ლაყბობდნენ, მაგრამ ფრანგმა გუნდის გამოცვლა იუარა: „რაზეა საუბარი? რა თქმა უნდა, „არსენალში“ ვრჩები. წამსვლელი არ ვარ. ვფიქრობ, ლონდონში დაბრუნებისთანავე ციცხალ კონტრაქტს მოვაწერ. ხელს მოვაწერ, ბეჭედს დავკრავენ და მორჩა. „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლა? როგორ გეკადრებათ! წარმოუდგენელია. ყოველთვის ვამბობდი, რომ „არსენალიდან“ თუ წავალ, ინგლისში არ გავჩერდები“.

კაპიტნის აზრი გასაგებია. ახლა დენის ბერხკამპის მომავალში შევიჭრიტოთ. ჰოლანდიელი „ჰაიბერიზე“ დიდად პატივცემული კაცია. იგი კარიერის დასრულებას თოფით ხელში აპირებს და ბუცებთან ერთად კედელზე ორლულიანსაც ჩამოკიდებს. მისივე თქმით, ეს ალბათ ორი წლის შემდეგ მოხდება:

„არსენ ვენგერთან ვიჭუკჭუკე. მითხრა, რომ ჩემთან განშორება არ სწადია. მე თანახმა ვარ, კარიერა „ჰაიბერიზე“ დავასრულო. „არსენალი“ საოცნებო გუნდია“.

სხვა ტალღაზეა სილვენ ვილტორდი. „მიყვარს ეს კლუბი და აქ თამაში მომწონს“ — თქვა ფრანგმა. თამაში მოსწონს, მაგრამ ახალი კონტრაქტის პირობები არა. ჯამაგირის შემცირებაზე სიტყვა ჩამოუგდეს, რაზეც ვილტორდმა წარბები აზიდა. საკუთარი თავის ფასი ვიცი და თუ ვერ მოვრიგდით, გუნდიდან წავალო, დაიწუწუნა ფრანგმა. თან დასძინა, აგერ, მიუნხენის „ბაიერნი“ მეპატიჟებაო. გასულ სეზონში ვილტორდმა 13 გოლი მიითვალა. ამჟამად მისი აგენტი კლუბის ბოსებს ეკურკურება, რათა კლიენტისთვის მეტი ფული დასცინცლოს. ვაჭრობის შედეგი ივნისის დასაწყისში გაირკვევა.

დევიდ სიმენი პენსიონერის ალმართს დაადგა, თუმცა მისი მსურველი რამდენიმე პრემიერლიგელი მაინც გამოჩნდა. „საიმედო ხელებს“ შემცვლელი სჭირდება. „მეთოფეებმა“ სამიზნედ იტალია აირჩიეს. მათ „უდინეზეს“ მეკარე მორგან დე სანტისი შეუგულებიათ. უდინელის გარდა მილანელი კრისტიან აბიატისა და პარმელი სებასტიან ფრეის ვარიანტიც არსებობს.

მორგან დე სანტისს ლონდონელთა ყურადღება ფრიად ესიამოვნა: „უკვე შევიტყვე, რომ „არსენალში“ სიმენის ადგილი გათავისუფლდა და ჩემს სახელს ხშირად ახსენებენ. „უდინეზეშიც“ კარგად ვგრძნობ თავს, მაგრამ თუ „არსენალმა“ მომაკითხა, უარს როგორ გავბედავ? კონტრაქტი 2005 წლამდე მაქვს, მაგრამ ინგლისელები ჯიბეზე ხელს თუ გაიკრავენ, საქმეც გაიჩარხება“.

დალვინებული ფეხბურთელების შეძენა არსენ ვენგერს უსახსრობის გამო გაუჭირდება. „მეთოფეთა“ მზვერავები ევროპაში დაძრწიან და პატარა ბიჭებს ეძებენ. ერთს შვეიცარიაში მიაკვლიეს. „სერვეტის“ მცველი ფილიპ სანდერო მომავალ სეზონში „არსენალის“ მაისურს მოირგებს. შვეიცარელი მარჯვენა ფლანგზე თამაშობს და ცენტრალური მცველობაც შეუძლია. მის სანახავად თავად ვენგერი იყო ჩასული და ფილიპ სანდერო ივნისში „ჰაიბერიზე“ მიიწვია.

**ვაჟა ხუციშვილი**



დენის ბერხკამპი



პატრიკ ვიეირა



ივან სამორანო კარიერის დასრულებაზე ალაპარაკდა

# მრისხანე დაბერდა

**ჩილეს** ნაკრების ყოფილი ფორვარდი, „ივანე მრისხანედ“ მონათლული ივან სამორანი უკვე 36 წლისა მოიყარა. თავის დროზე მადრიდის „რეალის“ მაისურით მოთამაშე ჩილელი ჯერ ესპანეთში აწიოკებდა მეტოქე მცველებს, მერე კი მილანის „ინტერში“ გადაინაცვლა, სადაც რონალდოსთან ერთად უეფას თასიც მოიგო.

ამჟამად იგი სამშობლოშია და „კოკო კოლოსთვის“ გოლები გააქვს. მას მუხლის ძველი ტრავმა კვლავაც აწუხებს, მაგრამ სეზონში ექვსი გოლის გატანა მაინც მოახერხა. ივან სამორანომ კარიერის დასრულება გადაწყვიტა. „გასარკვევი მხოლოდ ერთი დამრჩა, როდის ჩამოვკიდო ბუცები, ჩემპიონატის დასრულებისთანავე თუ წლის ბოლოს. მსურს, „კოკო კოლოს“ ჩემპიონობაში დავეხმარო და ისე წავიდე“ — თქვა „ივანე მრისხანემ“, რომელმაც 67 სანაკრებო მატჩში 34 გოლი მიითვალა, ხოლო ევროპაში 14 სეზონი გაატარა.

**ვაჟა ხუციშვილი**

### შვედეთი

VIII ტური

გიოტებორგი 5:2 იორგრიტე

ენკიოპინგი 1:2 ჰამარბი

სუნდსვალი 3:1 ლანდსკრონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიკ | 8 | 6 | 1 | 1 | 17:6 | 19 |
| იურგორდენი | 8 | 6 | 0 | 2 | 20:3 | 18 |
| ჰამარბი | 8 | 5 | 3 | 0 | 13:6 | 18 |
| ჰელსინგბორგი | 8 | 4 | 2 | 2 | 10:8 | 14 |
| იორებრო | 8 | 4 | 1 | 3 | 13:11 | 13 |
| ჰალმსტადი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:11 | 10 |
| გიოტებორგი | 8 | 2 | 3 | 3 | 11:9 | 9 |
| მალმიო | 8 | 2 | 3 | 3 | 11:11 | 9 |
| ლანდსკრონა | 8 | 2 | 3 | 3 | 9:10 | 9 |
| სუნდსვალი | 8 | 2 | 3 | 3 | 9:11 | 9 |
| იორგრიტე | 8 | 2 | 2 | 4 | 11:17 | 8 |
| ოსტერი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:12 | 7 |
| ელფსბორგი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:13 | 5 |
| ენკოპინგი | 8 | 0 | 1 | 7 | 3:21 | 1 |

### სომხეთი

თასის ფინალი

მიკა 1:0 ბანანცი

### ჩეხეთი

თასის ფინალი

იაბლონეცი 0:1 ტეპლიცე

0:1 მუნალი (32)

### ამხანაგური მატჩი

შოტლანდია 1:1 ახალი ზელანდია

1:0 კროუფორდი (11), 1:1 ნელსენი (47)

### ისრაელი

თასის ფინალი

ჰაპოელი (ბეერ შევა) 1:1 (პენ.4:5, 1:1) ჰაპოელი (რამათ განი)

### ბოსნია

თასის ფინალი

საპასუხო მატჩი

ჟელეზნიჩარი 2:0 ლეოტარი (0:0)

### მაკედონია

თასის ფინალი

ცემენტარნიცა 4:4(პენ.3:2, 4:4) იუგომაგნატი




გუშინდელი „მარკას“ პირველი გვერდი. აირჩიე: ვენგერი ან დელ ბოსკე

# რეალის ხმაური მარტო ხმაური არ არის

## ეკიპმა პერესი და ვენგერი პარიზში ნახა

**მადრიდის** „რეალი“ მწვრთნელის გამალებულ ძიებაშია. ამჯერად ფლორენტინო პერესის ინტერესს ლონდონის „არსენალის“ ფრანგი დამრიგებელი არსენ ვენგერი წარმოადგენს. ფრანგული „ეკიპის“ ცნობით, სენიორ ფლორენტინო და მყოფი „რეალის“ სპორტული დირექტორი ხორე ვალდანო და ლონდონელი „მეთოფეების“ მთავარი ტაქტიკური იარაღი (ვენგერზე მოგახსენებთ) წინა პარასკევს პარიზში შეკრებილან. მართალია, შემდგომში ესპანური „მარკასთან“ გასაუბრების ჟამს „რეალის“ წარმომადგენლებმა ვენგერთან მოლაპარაკების ფაქტი კატეგორიულად უარყვეს, მაგრამ „ეკიპის“ დაჟინებული მტკიცებით, ესპანელებმა ფრანგს 3-წლიანი კონტრაქტი და წელიწადში 4 მილიონი ევრო ანაზღაურება შესთავაზა.

არსენ ვენგერს, მიუხედავად იმისა, რომ „მეთოფეებთან“ 2005 წლამდე აქვს კონტრაქტი, ლონდონური კლუბის დატოვების სრული უფლება გააჩნია. ფრანგი მაესტრო, ვიდრე „არსენალთან“ ჩასახუტებლად ლა მანშის სრუტეს გადალახავდა, საკმაოდ ფრთხილად მოქცევია საკუთარ თავისუფალ ნებას და ინგლისელებთან დადებულ კონტრაქტში შემდეგი მუხლი შეუტანია: ყოველი საფეხბურთო სეზონის დასრულების ჟამს, მიუხედავად იმისა, რამდენი დროა დარჩენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის სრულ ამოწურვამდე, მწვრთნელს შეუძლია „არსენალი“ დატოვოს და კარიერა სხვაგან გააგრძელოს.

ლონდონურ შეთანხმებაში ამ ფრიად საინტერესო მუხლის არსებობა ვენგერის წარმომადგენელმა მარკ როჯერმაც დაადასტურა: „არსენ ვენგერი ნებისმიერ ხელშეკრულებას უდიდესი სიფრთხილით ეკიდება და არაფერია იმაში უცნაური, თუ კონტრაქტის განსაკუთრებული პუნქტით მწვრთნელს სეზონის დასასრულს გუნდის დატოვება შეეძლება. მსგავს რამეს თითქმის ყველა დიდი მწვრთნელი ითვალისწინებს. ფაბიო კაპელოსა და მარჩელო ლიპისაც კონტრაქტში ზუსტად ეს მუხლი აქვთ დაკანონებული“.

როჯერმა „მეთოფეთა“ შეშფოთებულ გულშემატკივრებსა და დანარჩენ საფეხბურთო სამყაროს ისიც ამცნო, რომ ვენგერი ჯერჯერობით სხვა გუნდში გადასვლის აუცილებლობას ვერ ხედავს.

„არსენალის“ არსენმაც „ეკიპს“ მტკიცედ განუცხადა: „ორი წელი მრჩება კონტრაქტით „არსენალში“ და ამ ხნის განმავლობაში წასვლას არ ვაპირებ. მერე ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება. ისე კი, არც ლონდონში დარჩენას გამოვრიცხავ“.

„რეალის“ ახლანდელი მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე კი სპორტულ პრესაში ატეხილ ესპანურ-ფრანგულ-ინგლისურ აჟიოტაჟს საკმაოდ მშვიდად შეხვდა. „უკვე მერამდენეჯერ გავიგე ვენგერის შესაძლო გადმოსვლის შესახებ. რასაც ჟურნალ-გაზეთები წერენ, ყველაფერი სიმართლე როდია. ნაკლებად მჯერა, რომ გუნდის უფროსობა ამ ეტაპზე ფრანგთან რაიმე მოლაპარაკებას აწარმოებდეს. „რეალთან“ მუშაობას ნორმალურ ვითარებაში განვაგრძობ და ყველაფერს გავაკეთებ ესპანეთის ჩემპიონები რომ გავხდეთ“ — უთხრა „მარკას“ ულვაშა დამრიგებელმა, რომლის სამეფო გუნდში დარჩენა-არდარჩენის ამბავი წლევანდელი პრიმერადივიზიონის ჩამთავრებამდე, ალბათ, არც გადაწყდება.

**ლადო ხომერიკი**

# ივანუშკა დურაჩოკი

## ვალენტინს ვიდეოს სიყვარული არ აპატიეს

**რუსები** ისე გაკადნიერდნენ, რომ ფიფას რუსივე მსაჯი ვალენტინ ივანოვი ორთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს — ივანოვს იმაში მიუძღვის ბრალი, რომ ვიდეოჩანაწერი გამოიყენა გადაწყვეტილების მისაღებად.

წინა კვირას რუსეთის თასის ნახევარფინალში, რომელსაც ივანოვი სჯიდა, „როსტოვი“ და „ანჟი“ ხვდებოდნენ. არბიტრმა ჯერ ჩათვალა როსტოველთა გატანილი გოლი, მერე ვიდეოკამერას ჩახედა და თავისივე გადაწყვეტილება გადათქვა. მოგვიანებით როსტოველებმა მაინც გაიტანეს და მატჩი 1:0 მოიგეს.

ივანოვი ჯერ ყოველივეს უარყოფდა, ეგეთი რამ არ ჩამიდენიაო, მაგრამ როცა რუსულმა პოპულარულმა სპორტულმა გაზეთმა „სპორტ ექსპრესმა“ მატჩიდან მეორე დღეს პირველ გვერდზე ივანოვის მამხილებელი ფოტო დაბეჭდა, ყველაფერი ნათელი გახდა.

როსტოველთა პირველი, ჯერ ჩათვლილი და მერე არაჩათვლილი გოლის მერე მატჩი ოცი წუთით შეწყდა და სწორედ მაშინ მიირბინა ივანოვმა „ანჟის“ სათადარიგოთა სკამის სიახლოვეს, რათა ვიდეოკამერით ეხილა ეპიზოდი.

სასჯელი რუსეთის პროფესიული ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა გამოიტანა, მანამდე კი ფიფას არბიტრი რუს მსაჯთა შეფმა ნიკოლაი ლევნიკოვმა გაკიცხა.

ვიდეოკამერით სარგებლობა სპორტის ზოგიერთ სახეობაში ნებადართულია მსაჯებისთვის. მაგალითად, ამერიკულ ფეხბურთში, რაგბიში და კრიკეტში, მაგრამ ფიფა-უეფა ამგვარ ტექნოლოგიებს კრძალავს.

ივანოვი კი იმდენად ცნობილი მსაჯია, რომ მას ამასწინდელი „მილანი“ — „ინტერის“ ნახევარფინალური მატჩის არბიტრობა ანდეს ჩემპიონთა ლიგაში. ხოლო ივნისში ივანოვი ფიფას ეგიდით ჩატარებულ კონფედერაციათა თასის გათამაშებას მოემსახურება — რუსული სასჯელი სხვაგან არ მოქმედებს.

**დავით თავართქილაძე**

# მორატიმ კუპერი გააგრძელა

**მილანის** „ინტერისა“ და ექტორ რაულ კუპერის გზები არ გაიყარა. არგენტინელი მომავალ სეზონში კიდევ ერთხელ სცდის „შავ-ლურჯების“ გაჩემპიონებას.

„ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ ჟურნალისტებს დაუფქვა: „ექტორ რაულ კუპერს შეუძლია, მშვიდად გააგრძელოს მუშაობა. ვფიქრობ, საკმაოდ ბრძნული გადაწყვეტილება მივიღეთ. გუნდს სტაბილურობა სჭირდება და მწვრთნელის შეცვლამ, შესაძლოა, სულ აგვწეწოს. არგენტინელმა თავისი საქმე კარგად იცის და მიზანსაც მიაღწევს. მეორე ადგილი ურიგო შედეგი არაა. ჩვენ ჩემპიონთა ლიგის ძირითად ბადეში მოვხვდით“.

ჟურნალისტებთან შეხვედრამდე ერთი დღით ადრე მასიმო მორატი მწვრთნელს ესაუბრა და ყველაფერი მოაგვარა.



ჰექტორ რაულ კუპერი და მასიმო მორატი

ექტორ კუპერს ერთი თავსატეხი მაინც არ ასცდა. მისი თანამემამულე და თანაშემწე მარიო გომესი ოჯახური პრობლემების გამო სამშობლოში დაბრუნდა. ახლა ჭაღარა არგენტინელს გომესის შემცვლელის ძებნა მოუწევს.

ამასობაში პორტუგალიური პრესა „ინტერზე“, „პორტუსა“ და დეკო სოუზაზე წერს. ამბობენ, მილანელებმა დეკო სოუზას სანაცვლოდ უეფას თასის მფლობელებს სერჟიო კონსეისაუ შესთავაზესო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# აზიაში ონო მონოა

**აზიის** ფეხბურთის კონფედერაციამ შარშანდელი სეზონის საუკეთესოები გამოავლინა. გამოკითხვის შედეგად ფეხბურთელებს შორის პირველობა იაპონელ შინჯი ონოს ერგო.

როტერდამის „ფეიენოორდის“ ლეგიონერმა შარშან უეფას თასი მოიგო. იაპონიის ნაკრებმა კი მსოფლიოს ჩემპიონატზე მერვედფინალში გააღწია და თურქეთთან დამარცხდა, ხოლო „ფეიენოორდმა“ ჰოლანდიაში ბრინჯაო მოიგო. აი, ასე დაუთვალეს და შეაჯამეს შინჯი ონოს შარშანდელი მონაგარი.

პრიზს 4 ივნისს საიტამაში მიართმევენ, სადაც ერთმანეთს ამხანაგურად „ფეიენოორდი“ და ფეხბურთელის ყოფილი კლუბი „ურავა რედზი“ შეხვდებიან.

შინჯი ონო მესამე იაპონელია, ვისაც ეს ჯილდო წილად ხვდა. 1995 წელს საუკეთესოდ მასამი იაჰარა, ხოლო 1997-სა და 1998-ში ჰიდეტოში ნაკატა აღიარეს.

რა გასაკვირია, რომ მწვრთნელებში გუს ჰიდინკს მოცილე არ ჰყავდა. ჰოლანდიელის თავკაცობით სამხრეთ კორეამ ნახევარფინალს უწია და საბოლოოდ მეოთხე ადგილმაც გაახარა.

აზიის საუეთესო ახალბედა ფეხბურთელად სამხრეთკორეელი სუ შან ლი ცნეს, ხოლო კონტინენტის უპირველესი გუნდის ტიტული... ტაშკენტის „ფახთაქორს“ ერგო.

**ვაჟა ხუციშვილი**



# სისეს ისე და ასე



ჯიბრილ სისე

**ჟერარ ულიემ** ლივერპულიდან ოსერში თოკი გააბა. თოკს ჯიბრილ სისე აწერია და მეორე ბოლო გი რუს უჭირავს. ჰოდა, ფრანგი მწვრთნელები ბაწარს თავ-თავისკენ ქაჩავენ.

ლივერპულელი ფრანგი სისეს ისე ჩაებღაუჭა, რომ ცოცხალი თავით დანებებას არ აპირებს. არც ოსერელი მოხუცია ჯაბანი. ჟერარ ულიე ფულს ხომ სთავაზობს, მაგრამ „ოსერის“ მწვრთნელი უარზეა. საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა სხვა ხერხს მიმართა. ფრანგული ლიგიდან დაქვეითებული „ლე ავრის“ ორი ფეხბურთელი — ანტონი ლე ტალეკი და ფლორენ სინამა პონგოლე „ლივერპულმა“ რამდენიმე დღის წინ თითქმის მუქთად დაისაკუთრა. ახლა ჟერარ ულიემ თავის კოლეგას ჯიბრილ სისეს სანაცვლოდ 20 მილიონი ევრო და ზემოთ ნახსენები ორი ფეხბურთელი შესთავაზა.

21 წლის თმა-წვერ თეთრა სისე მშვიდადაა: „ლივერპულში“ გადასვლა მხოლოდ ჩემზე არაა დამოკიდებული. ვნახოთ, საბოლოოდ როგორ მორიგდებიან მწვრთნელები. ისე კი, მე ინგლისში თამაშზე უარს არ ვიტყოდი. ხანდახან პრესა პატარა ამბავს ძალიან აბუქებს. სისე ესე თამაშობს, სისე ისე თამაშობსო, გაქებენ, მერე გადახვალ დიდ გუნდში და ერთი-ორი საგოლე მომენტი რომ გააფუჭო, მიწასთან გაგასწორებენ.“

**ვაჟა ხუციშვილი**



ალექსანდრე იაშვილი

# მეგობრობა გზად და ხიდად

## იაშვილი ფრანგს შვეიცარიაში გაჰყვა

*ლევან ცქიტიშვილმა „ფრაიბურგთან" კონტრაქტი ერთი წლით რომ გააგრძელა, გუშინდელ „სარბიელში" გაუწყეთ. იქვე ვთქვით, რომ ალექსანდრე იაშვილიც ფოლკერ ფინკესთან დარჩება, მაგრამ „ფრაიბურგის" ქართველი შემტევის საქმე ცოტა სხვანაირად გაიჩარხა*

იაშვილს კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურებოდა, მაგრამ იაშვილ-„ფრაიბურგის" ხელშეკრულებაში იდო ერთი ისეთი პუნქტი, რომლის მიხედვითაც, კონტრაქტის დამთავრების შემდეგ კლუბს უფლება ჰქონდა კიდევ ერთი წლით დაეტოვებინა ფეხბურთელი. ამას გერმანიაში „ოპციონს" (OPTION) ეძახიან — არჩევანის უფლება კონტრაქტის დასრულების შემდეგ კლუბისაა და არა ფეხბურთელის.

რაც შეეხება ზაზა ზამთარაძეს, რომელსაც კონტრაქტი „ფრაიბურგთან" სეზონის ბოლოს უმთავრდება, ფინკეს გუნდში აღარ დარჩება — „ფრაიბურგის" მეორე გუნდის შემადგენლობაში მას ორი მატჩი დარჩა სათამაშო ობერლიგაში და მერე ახალი გუნდის მოძებნა მოუწევს.

ალექსანდრე იაშვილი კი ახლა შვეიცარიულ ბაზელში გახლავთ — „ფრაიბურგთან" კონტრაქტდამთავრებული ფრანგი შუახაზელი ებდერ რამდანე იქ ფეხის ოპერაციას იკეთებს და ქართველმაც მეგობარი გაჭირვებაში არ მიატოვა.

**დავით თაგართქილაძე**



აბდერ რამდანე

# არც ზემოთ, არც ქვემოთ

## რევაზ ძოძუაშვილმა სპარტაკ-ალანიას სევასტი თოდუა შეახსენა

*რევაზ ძოძუაშვილის გაწვრთნილმა ვლადიკავკაზურმა „ალანიამ" რუსეთის ჩემპიონატი რიხით დაიწყო. პირველ ტურში შინ მოსკოვის „დინამოსთან" წაგება ძოძუაშვილის შეგირდებმა მომდევნო მატჩისას, მოსკოვში „სპარტაკის" ძლევით გამოასწორეს, მერე სამჯერ მოიგეს და ყველასთვის მოულოდნელად დაწინაურებულთა შორის აღმოჩნდნენ. სეზონის წინ სპეციალისტები „ალანიას" პრემიერლიგაში დასარჩენად ბრძოლას უწინასწარმეტყველებდნენ. ძოძუაშვილის გუნდი რუსებმა სასიამოვნო სიურპრიზად მიიღეს და ქება არ დაუკლიათ. ამან აწყინა თუ მიზეზი სხვა იყო, „ალანია" შეჩერდა, სამჯერ ზედიზედ დამარცხდა და ახლა ცხრილში მეთორმეტეა.*

*ოსების ქართველი მწვრთნელისთვის ასეთი შედეგი თურმე მოულოდნელი არ ყოფილა. ძოძუაშვილს არც კლუბის ხელმძღვანელთაგან მიუღია საყვედური*





სევასტი თოდუას რევაზ ძოძუაშვილი, სავარაუდოდ, კვლავ ვლადიკავკაზში წაიყვანს

— წლეულს ჩვენი მიზანი პრემიერლიგაში მერვე-მეათე ადგილია. „ალანიას" უფროსობის მოთხოვნა ესაა. ამჟამინდელი ფინანსური მდგომარეობით, უკეთესს შედეგზე ვერ ვიფიქრებთ. ეს აქ კარგად იციან — გვითხრა რევაზ ძოძუაშვილმა, ვლადიკავკაზში რომ დავუკავშირდით — წინასწარი გათვლით, დასახული მიზნის მისაღწევად 30 ქულა საკმარისი იქნება. სადღეისოდ კი 10 ტურია განვლილი და 12 ქულა გვაქვს. ასე რომ, გეგმის მიხედვით მივდივართ და, დარწმუნებული ვარ, პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება არ გაგვიჭირდება. ჩვენნაირ დღეში კიდევ რამდენიმე გუნდია. მათთვისაც უმთავრესი პრემიერლიგაში დარჩენაა. „ალანია" სამომავლო გუნდს აკეთებს. ამ სეზონში საგაისოდ პრიზიორთა შორის მოსახვედრად საფუძველს ვყრით.

**— ამ საფუძველს თქვენს გემოზე აწყობთ?**

— მთლად ასეც არაა. გუნდი სეზონის დაწყებამდე სამი თვით ადრე ჩავიბარე, ფაქტობრივად, სულ ახალი შემადგენლობით. ჩემთვის სასურველ ყველა ფეხბურთელთან სამუშაოდ კი დრო არ მქონდა. საქმე ისაა, რომ კლუბის ხელმძღვანელებს ამა თუ იმ ფეხბურთელის შესაძლებლობებში დასარწმუნებლად ერთი-ორი თვე დასჭირდათ და სატრანსფერო თანხის გადახდას აყოვნებდნენ. შესაბამისად, მეც ლოდინი მიწევდა. სწორედ ამ მიზეზის გამო გუნდი მთლად ჩემებურად ვერ დავაკომპლექტე. ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელების სრულფასოვანი შემცვლელები ფაქტობრივად არც გვყავს. აგერ ახლა, მაგალითად, მარცხენა მცველი, ლატვიელი ბლაგონადეჟდინი დაშავდა და მისი შემცვლელი არავინაა. ტრავმირებულია პაგაევიც. არადა, სეზონის წინ სევასტი თოდუას ჩამოყვანა მსურდა, უფროსებმა არ ქნეს. ახლა კი ამბობენ, თოდუა უნდა დაგვემატებინაო. საერთოდ, მარცხენა მცველის პოზიციაზე დიდი არჩევანი არცერთ გუნდს არა აქვს. ამიტომაც თოდუა სულ გვერდით მყავდა.

**— საქართველოში ერთი ტურიღა დარჩა. მერე ხომ არ აპირებთ მის დამატებას?**

— ამის თაობაზე კლუბის ხელმძღვანელობას ვესაუბრე და მალე გაირკვევა, თოდუას დავიმატებთ თუ არა.

**— სხვა ფეხბურთელთა მიწვევაზე არ ფიქრობთ?**

— ხომ გითხარით, მხოლოდ 11 ფეხბურთელი გვყავს. ახლა ამ შემადგენლობიდან ხუთი ტრავმირებულია. იძულებული ვართ, ფეხბურთელები „ალანიას" მეორე გუნდიდან დავიმატოთ, ისინი კი პრემიერლიგაში სათამაშოდ ჯერ მზად არ არიან. ამიტომაც 4 ფეხბურთელის მოწვევა გვაქვს ჩაფიქრებული. ვნახოთ რა გამოვა.

**— ქართველები არიან?**

— ქართველებიც არიან, ოღონდ გვარებს ვერ გეტყვით.

**— კარგი სტარტის მერე ზედიზედ სამი წაგება რისი ბრალია?**

— მიზეზი ვთქვი. 11 ფეხბურთელით ვთამაშობთ და ახლა ამათგან 5 დაშავებულია. ძირითადი შემადგენლობის შემცვლელი სრულფასოვანი მოთამაშეები არ გვყავს, ახალგაზრდებს კი უჭირთ.

**— გუნდში ცუდი ფინანსური მდგომარეობაა. ხომ არ გიფიქრიათ „ალანიას" დატოვება?**

— რუსულ პრემიერლიგაში მოთამაშე გუნდებთან შედარებით „ალანიას" მართლაც უჭირს, მაგრამ არა ისე, ფეხბურთელებსა თუ მწვრთნელებს თვალი გაქცევაზე ეჭიროთ. „ალანიას" ამჟამინდელი ფინანსური მდგომარეობა ქართული გუნდებისთვის სანატრელი იქნებოდა. რაც „ალანიას" ფული აქვს, იმ რაოდენობით საქართველოში ორი-სამი კარგი გუნდი გაკეთდებოდა.

**— „ალანიამ" თუ ბოლო სამი მატჩის მსგავსად ითამაშა, პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება არ გაგიჭირდებათ?**

— ახლა უმთავრესი ისაა, რომ ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად დავამუშაოთ. საგანგაშო არაფერია. ტრავმირებულნი გამოჯანმრთელდებიან და პირველ წრეში რამდენიმე ქულას კიდევ მოვიპოვებთ. მეორე წრიდან კი ფეხბურთელებსაც დავიმატებთ. თანაც შემოდგომაზე უკეთესი კალენდარი გვაქვს.

**— ფეხბურთელების დამატებას კი აპირებთ, მაგრამ, როგორც ვიცით, „ალანიადან" წასვლას აშვეთიაც ეშურება...**

— დიახ, მას მართლაც ეპატიჟება ცსკა და შესაძლოა წავიდეს, მაგრამ ეგებ დავაკავოთ კიდეც. ყველაფერი ჩვენს ფინანსურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. აშვეთიას გადაბირება ცსკას გარდა სხვა გუნდებსაც სურთ. ის და მენთეშაშვილი დღესდღეობით „ალანიას" საუკეთესო ფეხბურთელებად ითვლებიან. მათ ხალხი აფასებს და შემთხვევითი არაა, რომ ქართველ თავდამსხმელს რუსეთის ჩემპიონობის უმთავრესი კანდიდატი ეპატიჟება.

**— აშვეთიას სხვებიც იწვევენო, შეგიძლიათ კონკრეტულად დაგვისახელოთ გუნდები?**

— ზუსტად არც მე ვიცი. საბერძნეთიდან დაურეკეს.

**— შარშანდელთან შედარებით რუსული ფეხბურთის დონე მნიშვნელოვნად ამაღლდა?**

— რუსეთისა და საქართველოს ჩემპიონატების ფინანსურად შედარება არც კი შეიძლება. სათამაშო დონე კი, რა თქმა უნდა, აქ ამაღლდა, თუმც შარშანდელისგან მნიშვნელოვნად განსხვავებულიც არ არის.

**კობა ინასარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინამო-წერეთელი დროის ამბავია



მამუკა წერეთელი

**მამუკა წერეთელი** იმედისმომცემ, ნიჭიერ მცველად მოიაზრებოდა. ნაბიჯ-ნაბიჯ გაიარა თითქმის ყველა ასაკობრივი ნაკრები და ბოლოს ეროვნულის წევრადაც იქცა. წერეთლის წინსვლას თითქოს ხელს ვერაფერი შეუშლიდა, თამაშის სურვილი, კლუბში მოწესრიგებული ვითარება, მწვრთნელი ყველგან ენდობოდა, მოკლედ წინ ვარდით მოფენილი კარიერა ელოდა.

მერე ერთბაშად ყველაფერი აირია. კლუბში ვითარება აეწეწა, ეროვნულ გუნდში აღარ იწვევდნენ და მხოლოდ ახალგაზრდული ნაკრების ამარა დარჩა. ამას უთამაშებლობა და ფორმის დაკარგვა დაერთო და მამუკასაც უძრაობის ხანა დაუდგა

თურმე ესეც არ იყო უბედურების ბოლო, წერეთელს ერთხელაც საკუთარ სახლთან დახვდნენ და ფეხში დაჭრეს. ასეთი ტრაგედია ნებისმიერი ფეხბურთელისთვის ძნელად გადასატანია. ნაკრების ყოფილი ცენტრალური მცველიც ბევრმა ჩამოწერა ნაადრევად.

ჭრილობა მოშუშდა, მამუკამ ინდივიდუალურად ვარჯიში დაიწყო, თანაც აქედან გაღწევას და ახალი უცხოური კარიერის მოწყობას ცდილობდა. რამდენჯერმე თითქოს ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ უიღბლობა გრძელდებოდა.

ბევრი ტანჯვა-წამების შემდეგ წერეთელმა საქართველოდან მაინც გააღწია. იქნებ მთლად სასურველი ვარიანტიც არ იყო, მაგრამ კვიპროსის ჩემპიონატში მოწყობამ სულზე მიუსწრო. იქაური „ნეა სალამინა" ვერაფერი გუნდი გახლდათ, მაგრამ მამუკასთვის იქნებ იმ დროისთვის უკეთესიც დედამიწის ზურგზე არ მოიძებნებოდა. „ნეა სალამინაში" ჩვენებური სტაბილურად ათამაშდა, თავდაჯერებულობა დაიბრუნა, თუმც ფინანსურმა სიდუხჭირემ „ნეა სალამინას" ბოლო მოუღო და ლიგას დაემშვიდობა.

კვიპროსში კონტრაქტგასრულებული წერეთელი თბილისში დაბრუნდა. ორიოდ კვირის წინ რომ შევეხმიანეთ, გვითხრა, ახალ ვარიანტს ველოდებიო. ჰოდა, გამოუჩნდა კიდეც, სადღეისოდ მამუკა წერეთელი ივო შუშაკის „დინამოში" ვარჯიშობს.

— ჩვენი სურვილია წერეთელმა „დინამოში" ითამაშოს, იგივეს ფიქრობს ფეხბურთელიც. პირველი მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა, კონკრეტულ პირობებს კი მოგვიანებით განვიხილავთ — გვითხრეს გუშინ „დინამოში".

**მამუკა ძგანტალიანი**

# ჩხუბი და გინება აკრძალულია

## დისციპლინარები არდადეგებამდე გამკაცრდნენ

**გუშინ** სადისციპლინო კომიტეტის ბოლოსწინა სხდომამ სულ რაღაც თხუთმეტი წუთი გასტანა. გასარჩევი ბევრიც არაფერი იყო და დისციპლინარებიც მომავალ ოთხშაბათამდე დაგვემშვიდობნენ. 4 ივნისს ომარ გოგიაშვილი და კომპანია ამ სეზონში კიდევ ერთხელ შეიკრიბებიან და სექტემბრამდე არდადეგებიც დაიწყება.

გუშინ კი სულ სამი საქმე გაირჩა, თუმც სასჯელი და ფულადი ჯარიმები საკმაოდ მკაცრი იყო. 16 მაისს „დინამო 2" — თსუ-ს მატჩისას სტუდენტი აკაკი ქუხილავა მსაჯ დავით სანაიას ჯერ ეკამათა, მერე კი სიტყვიერადაც შეურაცხჰყო, რისთვისაც მოედნიდან მიაბრძანეს. სამმატჩიან დისკვალიფიკაციას და 150-ლარიან ჯარიმას დისციპლინარებმა მისხალიც არ მოაკლეს.

ზუსტად იგივე სასჯელი ერგო გორის „დილას" მეკარე გიორგი სომხიშვილს, რომელიც 17 მაისს „მერანიოლიმპთან" წაგებულ საშინაო თამაშში მოედნიდან მსაჯ პაატა დოგრაშვილის გინებისთვის გაძევეს.

მართალია, მატჩის შემდეგ სომხიშვილმა მსაჯსაც და ინსპექტორ-დირექტორსაც მოუბოდიშა, მაგრამ დისციპლინარებმა მისი მონანიება არად ჩააგდეს და ჩემპიონატი დაასრულებინეს.

„დინამო-2"-ისა და ზუგდიდური „ლაზიკას" დაპირისპირებისას მასპინძელი ლევან კაპანაძე და სტუმარი გია თოდუა ერთმანეთს კრივშიც გაეჯიბრნენ. მათ შეხლას მოედანზე შეიძლებოდა გუნდური ჩხუბიც მოჰყოლოდა, დაასკვნეს დისციპლინარებმა და თითოეულს 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და 200 ლარიანი ჯარიმები გამოუწერეს.

**მამუკა ძგანტალიანი**

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქეები

შესარჩევი ეტაპი. 7 ივნისი

### შვეიცარია – რუსეთი

### შვეიცარია

*მეკარეები:* ფაბრის ბორერი (გრასჰოპერი), იორგ შტილი (მიონხენგლადბახი, გერმანია), პასკალ ცუბერბიულერი (ბაზელი);

*მცველები:* ბერნტ ჰაასი, მურატ იაკინი, მარკო ცვისიგი (ყველა ბაზელი), რემო მაიერი (მიუნხენ 1860, გერმანია), პატრიკ მიულერი (ლიონი, საფრანგეთი), ბრუნო ბერნერი (ფრაიბურგი, გერმანია), ლუდოვიკ მანინი (ვერდერი, გერმანია), სტეფან ანშო (ლივერპული, ინგლისი), სტეფან კელერი (ციურიხი);

*ნახევარმცველები:* რიკარდო კაბანასი (გრასჰოპერი), ფაბიო სელესტინი (მარსელი, საფრანგეთი), იოჰან ფოგელი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ჰაკან იაკინი, მარიო კანტალუპი (ორივე ბაზელი), კრისტოფ შპიხერი (გრასჰოპერი), რაფაელ ვიკი (ვერდერი, გერმანია);

*თავდამსხმელები:* სტეფან შაპუიზა (იანგ ბოისი), ალექსანდრ ფრეი (რენი, საფრანგეთი), მილაიმ რამა (თუნი)



ზაზა ჯანაშიამ „ლოკომოტივს" სავარჯიშოდ მიაკითხა



მოსკოველებს მალხაზ ასათიანის (№30) დათმობა მოუწევთ

# ზდაროვა, ზაზა

## ჯანაშია ლოკომოტივს ერთი თამაშის ბილეთს გამორჩა

## ასათიანი, სპარტაკი და ირლანდია დაემთხვა

**თურქული** „ქოჯაელისფორიდან" გაქცეული ზაზა ჯანაშია თავის ყოფილ კლუბს, მოსკოვის „ლოკომოტივს" მიადგა. ორიოდ დღეა, ერთ დროს იური სიომინის რჩეული რკინიგზული კლუბის სარეზერვო შემადგენლობასთან ერთად ვარჯიშობს.

შეგახსენებთ, რომ ზაზა ჯანაშია მოსკოვში 1996 წელს გადაბარგდა „სამტრედიიდან". რუსულ კლუბში მან ექვსი წელი გაატარა და 145 საჩემპიონო მატჩში 34 გოლიც გაიტანა. იმ წლებში ჯანაშია ევროტურნირებზე უფრო გამოირჩა და უმალ რამდენიმე ევროპულმა კლუბმაც დაადგა თვალი, საბოლოოდ კი მაინც „ლოკომოტივში" დარჩა. იმ „ლოკომოტივში", სადაც უბატონოდ ხმას თითქმის ვერავინ სცემდა, მაგრამ მერე საქმე ისე წაუვიდა, კლუბიდან გასაშვები შეიქნა.

იური სიომინმა ბევრი უთმინა მუდმივად წონამომატებულ, მაგრამ უდავოდ ნიჭიერ ქართველ თავდამსხმელს და როცა მოთმინების ფიალა აევსო, სათადარიგოთა სკამზე მიუჩინა ადგილი. მოგვიანებით ჯანაშიას იქ დაჯდომაც სანატრელი გაუხდა და რამდენიმეთვიანი ჯახირის მერე მშველელად ისევ „ლოკომოტივი", ოღონდ ამჯერად თბილისური, მოევლინა.

საქართველოში დაბრუნებულს თავში ფორმის აღდგენა და მერე ისევ ევროპაში წასვლა უტრიალებდა, თუმც ის ხომ ზაზა ჯანაშია იყო, ჭირვეული, ვარჯიშების გამცდენი და... გოლების გამტანიც.

ერთი სიტყვით, მალე ზაზას თბილისის „ლოკომოტივიც" მობეზრდა. რუსულ „ლოკომოტივთანაც" კონტრაქტი დაუმთავრდა და... მოულოდნელად თურქულ „ქოჯაელისფორში" გამოჩნდა. აშკარად წონამომატებულმა და უვარჯიშებელმა ჯანაშიამ როგორღაც იზმითელებსაც მოაწონა თავი და ხელშეკრულებაც გაფორმდა. თურქების ერთადერთი მოთხოვნა ქართველი ფორვარდისადმი ზედმეტი კილოგრამების მოშორება იყო.

ერთ დროს საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა „ქოჯაელისფორში" მხოლოდ სამი მატჩი ჩაატარა და მერე სათადარიგოთა სკამს ვეღარ მოშორდა, რითი დასრულდებოდა ეს ყველაფერი, ძნელი გამოსაცნობი არ იყო — ზაზა ჯანაშიამ თურქებს ხელი დაუქნია და გაეცალა.

როგორც გითხარით, ჯანაშია ახლა მოსკოვის „ლოკომოტივის" სარეზერვო შემადგენლობასთან ერთად ვარჯიშობს. რუსები ირწმუნებიან, ქართველის „ლოკომოტივში" დაბრუნება გამორიცხულია, ის მხოლოდ ფორმის აღდგენას ცდილობსო.

გუშინ რკინიგზელთა გუნდის უფროს *ვლადიმირ კოროტკოვს* დავუკავშირდით, რომელმაც ეს ინფორმაცია დაგვიდასტურა:

— ზაზას ათიოდ დღის წინ შევხვდი. ერთმანეთი მოვიკითხეთ და ვილაპარაკეთ. ეს მხოლოდ მეგობრული შეხვედრა იყო.

— ესე იგი, ჯანაშიას „ლოკომოტივში" დაბრუნებაზე არ გისაუბრიათ?

— არა. ასეთი რამ არ ყოფილა. რაც შეეხება მხოლოდ „ჩერნომორეც" — „ლოკომოტივის" მატჩის ბილეთი იყო. ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს გეტყვით.

მოსკოვის „ლოკომოტივზე" ვლაპარაკობთ და ამ კლუბის ქართველ ნახევარმცველ მალხაზ ასათიანზეც ვთქვათ. როგორც გუშინ გამცნეთ, ასათიანი ივო შუშაკმა ირლანდიასთან 11 ივნისს გასამართ ევროშესარჩევის მატჩისთვის საქართველოს ნაკრებში გამოიძახა. აი, რა გვითხრა ამის თაობაზე ვლადიმირ კოროტკოვმა: „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან ასათიანის ნაკრებში გამოძახების შეტყობინება ჯერ არ მიგვიღია. თან 11 ივნისს მეტად პრინციპული მატჩი გველის „სპარტაკთან". ასე რომ, ამ საკითხზე საუბარი ახლა არ შემიძლია".

უეფას რეგლამენტით, ფედერაციამ კლუბს ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელის მოწვევა თამაშამდე ორი კვირით ადრე უნდა შეატყობინოს.

სფფ-ის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტში კი ეს გვითხრეს: „საგანგაშო არაფერია. დრო კიდევ გვაქვს და „ლოკომოტივს" მალე შევატყობინებთ ყველაფერს. შეგიძლიათ, ეს საკითხი მოგვარებულად ჩათვალოთ".

**ძაბა შალამბერიძე**

# კარნევალის ინტერტოტო შეშურდა



დავით დოლიძე და „ვიტ ჯორჯია" შარშან ინტერტოტოდან ბელგიურმა „ლოკერენმა" დაიფრინა

**შუშაკის** „დინამოს" ჩემპიონობას ვერავინ შეეცილება, თუმც, თეორიულად კი შესაძლებელია. თუ 30 მაისს ბოლნისურმა „სიონმა" ეროვნულზე სასწაული მოახდინა, მაშინ „ტორპედო" დაეწევა ჯერაც ათგზის ჩემპიონს და გადათამაშებაში ღმერთმა იცის, რა მოხდება. მაგრამ თასის ფინალისტი „სიონი" სულაც არ აპირებს, საევროპო გზა მოიჭრას.

თავის მხრივ ვერცხლის მედლებს და უეფას საგზურს „ტორპედოს" ვერავინ წაართმევს. „ლოკომოტივმა" ქუთაისში რომ იძალოს და „ვიტ ჯორჯიამ" სტუმრად „კოლხეთთან", სატურნირო ცხრილში რიგითობა მაინც ვერ დაიღვევა.

„ლოკომოტივს" აქვს შანსი, „ვიტ ჯორჯიას" გადაუსწროს და ბრინჯაოს წაეპოტინოს, რაც ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ ინტერტოტოს თასზე მაინც ვეტერინარები გავლენ. რკინიგზელებმა იქ თამაში ხომ ადრევე იუარეს.

„ვიტ ჯორჯიამ" ინტერტოტოზე თანხმობა ფეხბურთის ფედერაციაში გუშინ ოფიციალურად განაცხადა. ჯანი კარნევალის გუნდი პირველი იქნება საქართველოში, ინტერტოტოზე ზედიზედ მესამედ რომ ითამაშებს.

**მამუკა ძგანტალიანი**

# სარბიელი და კრონო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სერია "A". პლეი აუტი** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 23.30 | 029 | რეჯინა-ატალანტა | 1,95 | 2,9 | 4,2 | 1,16 | 1,33 | 1,71 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXXVI ტური** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 24.00 | 039 | მალიორკა-რაიო | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 00.30 | 040 | რეალი-სელტა | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 20.00 | 041 | რასინგი-ესპანიოლი | 2,05 | 2,7 | 3,6 | 1,16 | 1,3 | 1,54 |
| 21.00 | 042 | დეპორტივო-ატლეტიკო | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 21.00 | 043 | ვალიადოლიდი-ოსასუნა | 2,05 | 2,7 | 3,6 | 1,16 | 1,3 | 1,54 |
| 22.00 | 044 | ვილიარეალი-ბილბაო | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 22.00 | 045 | ალავესი-ბეტისი | 1,9 | 3,4 | 3,5 | 1,21 | 1,23 | 1,72 |
| 22.30 | 046 | ბარსელონა-მალაგა | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 23.00 | 047 | სევილია-უელვა | 1,75 | 3,5 | 4,0 | 1,16 | 1,21 | 1,86 |
| 24.00 | 048 | სოსიედადი-ვალენსია | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XXXIV ტური** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 17.30 | 078 | ზვოლე-გრააფსხაპი | 1,75 | 3,5 | 4,0 | 1,16 | 1,21 | 1,86 |
| 17.30 | 079 | უტრეხტი-ტვენტე | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 17.30 | 080 | გრონინგენი-პსვ | 7,0 | 2,9 | 1,6 | 2,05 | 1,3 | 1,03 |
| 17.30 | 081 | ვალვაიკი-ნაიმეგენი | 2,1 | 3,4 | 2,9 | 1,29 | 1,21 | 1,56 |
| 17.30 | 082 | როზენდალი-ბრედა | 3,6 | 3,0 | 1,9 | 1,63 | 1,24 | 1,16 |
| 17.30 | 083 | აიაქსი-ჰერენვენი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 17.30 | 084 | ალკმაარი-ექსელსიორი | 2,0 | 3,4 | 2,5 | 1,25 | 1,11 | 1,44 |
| 17.30 | 085 | ფეიენოორდი-როდა | 1,65 | 3,0 | 5,0 | 1,06 | 1,24 | 1,87 |
| 17.30 | 086 | ვიტესი-ტილბურგი | 1,5 | 4,0 | 5,6 | 1,09 | 1,18 | 2,33 |
| | | **ჩეხეთი. XXX ტური** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 17.25 | 100 | ზლინი-სპარტა | 3,5 | 3,4 | 1,9 | 1,72 | 1,23 | 1,21 |
| 17.25 | 101 | პრჟიბრამი-ლიბერეცი | 3,0 | 3,4 | 2,0 | 1,59 | 1,2 | 1,25 |
| 17.25 | 102 | ბლშანი-ტეპლიცე | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 17.25 | 103 | ჰ.კრალოვე-ბუდეიოვიცე | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 17.25 | 104 | ბოჰემიანსი-სიგოტი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 17.25 | 105 | იაბლონეცი-ბრნო | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |
| 17.25 | 106 | ჟიჟკოვი-ბანიკი | 1,4 | 4,0 | 5,6 | 1,03 | 1,12 | 2,33 |
| 17.25 | 107 | სიგმა-სლავია | 2,7 | 3,1 | 2,45 | 1,44 | 1,28 | 1,36 |
| | | **პოლონეთი. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 108 | კატოვიცე-ამიკა | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.00 | 109 | ლეგია-რუხი | 1,35 | 4,4 | 7,5 | 1,03 | 1,14 | 2,77 |
| 19.00 | 110 | ვისლა-ვიძევი | 1,3 | 4,6 | 8,0 | 1,01 | 1,11 | 2,92 |
| 19.00 | 111 | გროცლინი-ზაგლებე | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.00 | 112 | ოდრა-პოლონია | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| 19.00 | 113 | გურნიკი-ლეხი | 2,2 | 3,4 | 2,2 | 1,33 | 1,1 | 1,33 |
| | | **თურქეთი. XXXIV ტური** | | | | | | |
| | | **30 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 116 | გალათასარაი-გაზიანთეფი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 18.30 | 117 | ქოჯაელი-ადანა | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| 18.30 | 118 | ისთანბული-ალთაი | 2,2 | 3,8 | 1,75 | 1,39 | 1 | 1,19 |
| 18.30 | 119 | ანკარაგიუჯიუ-დენიზლი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 18.30 | 120 | დიარბაქირი-ელაზიგი | 2,0 | 3,1 | 2,2 | 1,21 | 1,04 | 1,28 |
| 18.30 | 121 | ბურსა-გენჩლერბირლიგი | 1,7 | 3,6 | 3,3 | 1,15 | 1,12 | 1,72 |
| 21.00 | 122 | სამსუნი-ბეშიქთაში | 3,1 | 3,5 | 1,9 | 1,64 | 1,17 | 1,23 |
| | | **დანია. XXX ტური** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 125 | ორჰუსი-ფარუმი | 2,15 | 3,4 | 3,0 | 1,31 | 1,25 | 1,59 |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 18.00 | 126 | ოლბორგი-კიოგე | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 18.00 | 127 | ესბიერგი-მიდტიულანდი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.00 | 128 | აკადემისკი-სილკებორგი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 18.00 | 129 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 20.35 | 130 | ვიბორგი-ბრიონდბიუ | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| | | **ავსტრია. XXXVI ტური** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 18.30 | 131 | აუსტრია-ბრეგენცი | 1,6 | 4,0 | 3,2 | 1,14 | 1,06 | 1,77 |
| 18.30 | 132 | კერნტენი-გრაცერი | 6,0 | 4,0 | 1,4 | 2,4 | 1,13 | 1,03 |
| 18.30 | 133 | რიდი-ადმირა | 1,25 | 4,0 | 7,0 | 1 | 1,06 | 2,54 |
| 18.30 | 134 | ზალცბურგი-პაშინგი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 18.30 | 135 | შტურმი-რაპიდი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| | | **შვეიცარია. A ჯგუფი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 23.15 | 136 | ციურიხი-სერვეტი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 23.15 | 137 | ვილი-თუნი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 23.15 | 138 | ბაზელი-ქსამაქსი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 23.15 | 139 | იანგ ბოისი-გრასჰოპერი | 5,3 | 3,8 | 1,55 | 2,21 | 1,19 | 1,1 |
| | | **შვეიცარია. A/B ჯგუფი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 19.15 | 140 | ვადუცი-კრიენსი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.15 | 141 | ლუცერნი-სტ.გალენი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 19.15 | 142 | სიონი-აარაუ | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| | | **შვეიცარია. B ჯგუფი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **30 მაისი** | | | | | | |
| 22.30 | 144 | ბადენი-კონკორდია | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 20.30 | 145 | შაფჰაუზენი-ივერდონი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 20.30 | 146 | ვოლენი-ბელინცონა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| | | **ნორვეგია. VIII ტური** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 172 | ტრომსიო-სტაბეკი | 2,35 | 3,4 | 2,6 | 1,38 | 1,23 | 1,47 |
| 21.00 | 173 | ალესუნდი-ოდ გრენლანდი | 2,8 | 3,4 | 2,25 | 1,53 | 1,24 | 1,35 |
| 21.00 | 174 | ბრინი-ლინი | 2,25 | 3,5 | 2,7 | 1,36 | 1,22 | 1,52 |
| 21.00 | 175 | ბრანი-ბოდიო გლიმტი | 2,25 | 3,4 | 2,8 | 1,35 | 1,24 | 1,53 |
| 23.00 | 176 | ვოლერენგა-მოლდე | 2,3 | 3,4 | 2,7 | 1,37 | 1,24 | 1,5 |
| | | **ფინეთი. V ტური** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 20.30 | 187 | ჰიკ-მიუპა | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 20.30 | 188 | ჰაამეენლინა-ალიანსი | 3,2 | 3,2 | 2,15 | 1,6 | 1,28 | 1,28 |
| 20.30 | 189 | ინტერი-იარო | 1,75 | 3,4 | 4,6 | 1,15 | 1,26 | 1,95 |
| 20.30 | 190 | კტპ-ჯაზი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 20.30 | 191 | კუოპიო-ჰაკა | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1,73 | 1,26 | 1,19 |
| 20.30 | 192 | ლაჰტი-იოკერიტი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 20.30 | 193 | ტამპერე-ტურკუ | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გერმანია. თასი. ფინალი (ბერლინში) | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 22.30 | 204 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 4,8 | 3,5 | 1,65 | 2,02 | 1,22 | 1,12 |
| | | იტალია. თასი. ფინალი. II მატჩი | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 23.45 | 205 | მილანი-რომა | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |
| | | საფრანგეთი. თასი. ფინალი (პარიზში) | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 23.45 | 206 | ოსერი-პსჟ | 3,0 | 3,0 | 2,35 | 1,5 | 1,31 | 1,31 |
| | | ჰოლანდია. თასი. ფინალი (როტერდამში) | | | | | | |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 21.00 | 207 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | ბელგია. თასი. ფინალი (ბრიუსელში) | | | | | | |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 18.00 | 208 | სტ-ტრუიდენი-ლუვეე | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| | | შოტლანდია. თასი. ფინალი (გლაზგოში) | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 19.00 | 210 | დანდი-რეინჯერსი | 9,0 | 4,6 | 1,3 | 3,04 | 1,13 | 1,01 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | დანია. თასი. ფინალი (კოპენჰაგენში) | | | | | | |
| | | 29 მაისი | | | | | | |
| 18.00 | 211 | ბრიონდბი-მიდტიულანდი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| | | ავსტრია. თასი. ფინალი | | | | | | |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 19.15 | 212 | ავსტრია-კერნტენი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | | ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები | | | | | | |
| | | 29 მაისი | | | | | | |
| 05.40 | 217 | ინდეპენდიენტე-გრემიო | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| | | ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 15.00 | 219 | იაპონია-კორეა | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 22.00 | 220 | გერმანია-კანადა | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| | | კალათბურთი. ესპანეთი | | | | | | |
| | | 29 მაისი | | | | | | |
| 23.30 | 620 | ესტუდიანტესი-უნიკაბლე | 1,2 | 12,0 | 3,5 | 1,09 | 1 | 2,7 |
| 00.15 | 621 | ვალენსია-ხუვენტუდი | 1,1 | 12,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,52 |
| 00.30 | 622 | უნიკახა-ტაუ | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| | | 30 მაისი | | | | | | |
| 23.30 | 623 | ბარსელონა-ალიკანტე | 1,1 | 12,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,52 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | 29 მაისი | | |
| 23.30 | 2302 | რეჯანა-ატალანტა | 1.8 | 1.8 |
| | | 31 მაისი | | |
| 22.30 | 2303 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 1,75 | 1,85 |
| 23.45 | 2304 | მილანი-რომა | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2305 | ოსერი-პსჟ | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2306 | დანდი-რეინჯერსი | 1,9 | 1,7 |
| | | 1 ივნისი | | |
| 24.00 | 2307 | სოსიედადი-ვალენსია | 1.75 | 1,85 |
| 21.00 | 2308 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1.8 | 1.8 |
| 19.00 | 2309 | სტ-ტრუიდენი-ლუვეე | 1,7 | 1,9 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | 29 მაისი | | | |
| 23.30 | 2502 | რეჯანა-ატალანტა | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| | | 31 მაისი | | | |
| 22.30 | 2503 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 3.0 | 2.8 | 2,0 |
| 23.45 | 2504 | მილანი-რომა | 3.0 | 2,8 | 2.0 |
| 23.45 | 2505 | ოსერი-პსჟ | 3,0 | 2.8 | 2.0 |
| 19.00 | 2506 | დანდი-რეინჯერსი | 3.0 | 2,8 | 2,0 |
| | | 1 ივნისი | | | |
| 24.00 | 2507 | სოსიედადი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2.0 |
| 21.00 | 2508 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 19.00 | 2509 | სტ-ტრუიდენი-ლუვეე | 3,0 | 2.8 | 2,0 |


კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ


## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 29 მაისი | | | | | | |
| 23.30 | 2002 | რეჯანა-ატალანტა | 2.35 | 2,0 | 4.8 | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 22.30 | 2003 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 5.0 | 2.25 | 2.05 | | | |
| 23.45 | 2004 | მილანი-რომა | 2.8 | 2.0 | 3.6 | | | |
| 23.45 | 2005 | ოსერი-პსჟ | 3.5 | 2.0 | 2.9 | | | |
| 19.00 | 2006 | დანდი-რეინჯერსი | 9.0 | 3.1 | 1,45 | | | |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 24.00 | 2007 | სოსიედადი-ვალენსია | 2,25 | 2,05 | 5.0 | | | |
| 21.00 | 2008 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1.85 | 2.3 | 6,0 | | | |
| 19.00 | 2009 | სტ-ტრუიდენი-ლუვეე | 2.15 | 2,15 | 5.0 | | | |

### თასის აღება

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 29 მაისი | | |
| 18.00 | 1003 | ბრიონდბი-მიდტიულანდი | 1.35 | 2,6 |
| | | 31 მაისი | | |
| 22.30 | 1004 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 3.1 | 1,25 |
| 23.45 | 1005 | ოსერი-პსჟ | 1.95 | 1,65 |
| 19.00 | 1006 | დანდი-რეინჯერსი | 5.0 | 1.1 |
| | | 1 ივნისი | | |
| 21.00 | 1007 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1.2 | 3,5 |
| 18.00 | 1008 | სტ-ტრუიდენი-ლუვეე | 1,35 | 2,6 |
| 19.15 | 1009 | ავსტრია-კერნტენი | 1.2 | 3,5 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 29 მაისი | | |
| 23.30 | 2202 | რეჯანა-ატალანტა | 1,7 | 1,9 |
| | | 31 მაისი | | |
| 22.30 | 2203 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 1,9 | 1,7 |
| 23.45 | 2204 | მილანი-რომა | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2205 | ოსერი-პსჟ | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2206 | დანდი-რეინჯერსი | 2,1 | 1,55 |
| | | 1 ივნისი | | |
| 24.00 | 2207 | სოსიედადი-ვალენსია | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2208 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 2,0 | 1.6 |
| 19.00 | 2209 | სტ-ტრუიდენი-ლუვეე | 2,1 | 1,55 |

## ფორმულა 1. მონაკო. 1 ივნისი (23.45)

| 4001 გამარჯვებული | სამეული | ექვსეული | 4002 უსწ. წრე | 4301 გამარჯვებული გუნდი | |
|---|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი ------- 1,5 | 4101 ------ 1,15 | 4201 ----- 1,1 | 1,8 | | |
| ბარიკელო -------- 5,0 | 4102 ------ 1,55 | 4202 ----- 1,2 | 3,4 | | |
| რაიკონენი -------- 8,0 | 4103 ------- 1,8 | 4203 --- 1,25 | 4,4 | ფერარი | 1,45 |
| კულტჰარდი ----- 9,0 | 4104 ------- 1,9 | 4204 --- 1,25 | 6,0 | მაკლარენი | 2,7 |
| მონტოია -------- 12,0 | 4105 ------- 3,3 | 4205 ----- 1,3 | 4,0 | უილიამსი | 5,0 |
| რ.შუმახერი ---- 15,0 | 4106 ------- 3,3 | 4206 ----- 1,3 | 9,0 | რენო | 15,0 |
| ალონსო -------- 20,0 | 4107 ------- 3,3 | 4207 ----- 1,4 | 20,0 | ზაუბერი | 30,0 |
| ტრული --------- 30,0 | 4108 ------- 5,6 | 4208 ----- 1,7 | 30,0 | ბარ | 40,0 |
| ბატონი ---------- 75,0 | 4109 ------ 15,0 | 4209 ----- 2,2 | 100,0 | ტოიოტა | 50,0 |
| ფრენცენი ------ 75,0 | 4110 ------ 15,0 | 4210 ----- 3,0 | 100,0 | ჯორდანი | 30,0 |
| ჰაიდფელდი ---- 75,0 | 4111 ------ 15,0 | 4211 ----- 3,0 | 100,0 | იაგუარი | 50,0 |
| ვილნევი -------- 75,0 | 4112 ------ 15,0 | 4212 ----- 3,0 | 100,0 | მინარდი | 150,0 |
| ფიზიკელა ------- 75,0 | 4113 ------ 15,0 | 4213 ----- 3,0 | 100,0 | | |
| პანისი ------- 75,0 | 4114 ------ 15,0 | 4214 ----- 3,0 | 100,0 | | |
| ვებერი ------- 75,0 | 4115 ------ 15,0 | 4215 ----- 3,0 | 100,0 | | |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 29 მაისი | | |
| 23.30 | 2402 | რეჯანა-ატალანტა | 1,6 | 2,4 |
| | | 31 მაისი | | |
| 22.30 | 2403 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 3,4 | 1,3 |
| 23.45 | 2404 | მილანი-რომა | 1,8 | 2,0 |
| 23.45 | 2405 | ოსერი-პსჟ | 2,0 | 1.8 |
| 19.00 | 2406 | დანდი-რეინჯერსი | 4,4 | 1.15 |
| | | 1 ივნისი | | |
| 24.00 | 2407 | სოსიედადი-ვალენსია | 1,5 | 2.6 |
| 21.00 | 2408 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1,2 | 4,0 |
| 19.00 | 2409 | სტ-ტრუიდენი-ლუვეე | 1,4 | 3.0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 29 მაისი | | | | | | | | | |
| 23.30 | 2102 | რეჯანა-ატალანტა | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,2 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| | | 31 მაისი | | | | | | | | | |
| 22.30 | 2103 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 23.45 | 2104 | მილანი-რომა | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 23.45 | 2105 | ოსერი-პსჟ | 4,6 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 19.00 | 2106 | დანდი-რეინჯერსი | 15,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 5,3 | 3,4 | 30,0 | 15,0 | 1,55 |
| | | 1 ივნისი | | | | | | | | | |
| 24.00 | 2107 | სოსიედადი-ვალენსია | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,6 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 21.00 | 2108 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 2,1 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 19.00 | 2109 | სტ-ტრუიდენი-ლუვეე | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |


სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომში, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი

პრომოს უქმეებზე სამუშაო დრო გახანგრძლივდა

შაბათი 12.00–21.30

კვირა 12.00–20.30

**როლან გაროსი 2003 საპრიზო 13 044 055 ევრო**

# ეშლი ჯადო
## ბრძოლა კურნიკოვას მემკვიდრეობისთვის


REUTERS

ემლი ჰარკლროუდი

### მეორე წრე

#### კაცები

**ანდრე აგასი (2, აშშ) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 5:7, 1:6, 6:4, 6:2, 7:5; კარლოს მოია (4, ესპანეთი) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 6:2, 6:4, 7:6 (9:7); გილერმო კორია (7, არგენტინა) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:3, 5:7, 6:3, 6:1; რაინერ შიუტლერი (11, გერმანია) — ჟან-რენ ლინარი (საფრანგეთი) 4:6, 6:2, 6:4, 6:0; ირჟი ნოვაკი (13, ჩეხეთი) — მარკ ლოპესი (ესპანეთი) 6:4, 3:6, 0:6, 6:1, 6:3; ფლავიუ სარეტა (ბრაზილია) — ევგენი კაფელნიკოვი (17, რუსეთი) 6:4, 3:6, 6:0, 6:7 (0:7), 6:4; უეინ ფერეირა (22, სამხრეთ აფრიკა) — დავიდ ფერერი (ესპანეთი) 4:6, 6:4, 6:1, 6:3; იუნეს ელ აინაუი (23, მაროკო) — კრისტოფ როხუსი (ბელგია) 6:4, 6:4, 6:3; ქსავიე მალისი (26, ბელგია) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 3:6, 4:5, 6:4, 7:5, 8:6; ატილა სავოლტი (უნგრეთი) — მიხაილ იუჟნი (27, რუსეთი) 3:6, 6:4, 5:7, 6:2, 6:4; ვინს სპედია (29, აშშ) — იონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) 7:5, 6:1, 2:6 6:1; ხუან იგნასიო ჩელა (31, არგენტინა) — ჯორჯო გალიმბერტი (იტალია) 6:2, 5:7, 6:2, 6:1**

როლანგაროსიდან ოტებულ ყოფილ ჩემპიონთა ამქარს გუშინ ევგენი კაფელნიკოვიც შეუერთდა. რუსი, ვინაც იქაური მთავარჯილდო 1996 წელს მოიხვეჭა, უსახელო ბრაზილიელმა ფლავიუ სარეტამ მოაშთო.

29 წლის კაფელნიკოვი წლეულს ძალზედ რიგიანად ჩოგნაობდა, 14 თიხნარმატჩში 10-ჯერ იმარჯვა და იმედი ჰქონდა, ტურნირს საკადრისად დიდხანს შერჩებოდა.

მაგრამ მასზე ექვსი წლით უმცროსი ბრაზილიელი, ვისაც 23, სხვათა შორის, სწორედ გუშინ შეუსრულდა, თიხნართან ასევე „შენობით" საუბრობს და წლეულს აქა-იქ სამ მეოთხედფინალში თამაშსაც დაიკვებს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სოჭელმა კიდევ კარგად გაუძლო, მეოთხე სეტში მატჩბურთიც გადაარჩინა და მეტი ილაჯი რომ მოეძია, ეგებ გადამწყვეტ ხელში ემარჯვა კიდეც.

კაფელნიკოვი: „ძალიან იმედგაცრუებული ვარ, რადგანაც გაისად, შეიძლება, აქ უკვე აღარც ვიყო. რომ შემეძლოს, ისევე წარმატებით ვთამაშობდე, როგორც ადრე, თამაშის გაგრძელებას კიდევ აზრი ექნებოდა, მაგრამ... ვნახოთ — წლის ბოლომდე როგორმე მივატან."

სხვაფრივ, ძლივს მოიგო ხოტორა ამერიკელმა ანდრე აგასიმ, ჟინაც — თავად ნაღდად არ ენდომებოდა, მაგრამ — ხუთი სეტი ებულრავა ხორვატ მარიო ანჩიჩს. აგასიმ წააგო პირველი ორი სეტი და მომდევნო ორის იოლად მოგების შემდეგ მეხუთეში მაგრად გაწვალდა. ანჩიჩმა ბოლო სეტში ხუთი მატჩბოლი გადაარჩინა, მეტი კი ველარ გაძლო და საკუთარ მოწოდებაზე დაეცა. აუცილებლად აღსანიშნია და, აგასისთვის ეს მოგებული მატჩი რიგით 762-ეა, რითაც ის პიტ სამპრასს გაუსწორდა.

#### ქალები

**სერენა უილიამსი (1, აშშ) — მარი-გაიანე მიქაელიანი (შვეიცარია) 6:3, 6:2; ჟუსტინ ენენ-არდენი (4, ბელგია) — ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) 6:2, 6:2; ამელი მორესმო (5, საფრანგეთი) — ლინა კრასნორუცკაია (რუსეთი); ჩანდა რუბინი (8, აშშ) — კარა ბლეკი (ზიმბაბვე) 7:6 (8:6), 6:3; ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) — დანიელა ჰანტუხოვა (9, სლოვაკეთი) 7:6 (7:2), 4:6, 9:7; პეტრა მანდულა (უნგრეთი) — ანასტასია მისკინა (11, რუსეთი) 6:3, 6:4; ელენი დანილიდუ (14, საბერძნეთი) — ტატიანა გარბინი (იტალია) 6:0, 4:6, 6:2; აი სუგიამა (16, იაპონია) — სანდრა კლეინოვა (ჩეხეთი) 7:5, 6:0; მეგან შონესი (18, აშშ) — ლუდმილა ჩერვანოვა (სლოვაკეთი) 6:3, 7:6 (7:5); პატი შნიდერი (19, შვეიცარია) — სტეფან კოენ ალორო (საფრანგეთი) 6:3, 7:6 (7:4); ფლავია პენეტა (იტალია) — ლიზა რეიმონდი (აშშ) 6:3, 7:6 (7:3); მაგი სერნა (ესპანეთი) — ანა პისტოლეზი (23, ისრაელი) 6:4, 3:6, 6:3; ბარბარა შეტი (ავსტრია) — კლარისა ფერნანდესი (28, არგენტინა) 6:4, 5:7, 6:1; ლაურა გრანვილი (31, აშშ) — ივა მაიოლი (ხორვატია) 6:1, 6:2**

დანიელა ჰანტუხოვას იმდენი უძახეს, სექსდავლათიანობის ამბავში ანა კურნიკოვას ჰგავხარო, რომ საწყალი გოგო სულ მთლად წაახდინეს.

არ ვიცით, ეგებ მისი გრძელი ფეხებისადმი მილეთის გამძაფრებული ყურადღება მართლაც არაფერ შუაში იყოს და ყველაფერი ცუდ კვებასა და ანორექსიას უნდა დაბრალდეს. მაგრამ ის კი ფაქტია — გასული სეზონის „ყველაზე განვითარებული" გოგო წლეულს სულაც აღარ ჰგავს იმ კადნიერ და გლაჯუნა ნინველას, ამქარში თავისი წილი ადგილი შარშანდელი ინდიანუელსობის ფინალში მარტინა ჰინგისის საარაკო დაჩოქებით რომ დაიკავა...

მორიგი საამსეზონო მარცხი კი ჰანტუხოვამ სწორედ იმისგან იწვნია, ჩვენი დასავლელი კოლეგები ფერისა და ხორცის მიხედვით ასევე ანა კურნიკოვას გვერდით მოსახსენიებელ ქალად რომ თვლიან.

ეს ემლი ჰარკლროუდია, 18 წლის ჯორჯიელი გოგონა, ოქროსფერი თმებითა და საამოდ ნაკოლგეიტარი ღიმილით, რომელმაც გუშინ სამსაათიან უოფლიანეს განდაგანასაც გაუძლო და მაცქერალთა გულში ლამის ჰანტუხოვას ფეხებზე გრძელი, გულის ამაჩქროლებელი კვალიც დატოვა.

მართალია, გემოვნებაზე არ დავობენ და ვინმეს ეგებ ადრე90-იანების კრისტი ტარლინგტონი ერჩიოს, მაგრამ ემლის ჯადოს აწი ალბათ ველარსად დავემალებით.

ახლა მისი დროა. ის პირველად გამოდის როლან გაროსზე და რაგინდარა სლემტურნირის მესამე წრეშიც პირველად ითამაშებს.

ჰო, მართლა — სექსფეხება დანიელას მან წლეულს ჩარლსტონთიხნარზეც აჯობა. ოღონდ მაშინ ამ ამბავს დიდი რეზონანსი არ მოჰყოლია. ეს გასაგებიცაა — პარიზში ყველა ქალს სხვა ფერი ედება.

კი, ფერიც და ხორციც.

ხოლო ყველაზე ფერხორციან მეჩოგნე ქალად ჯერაც სერენა უილიამსი რჩება და თავისი მეორე შეხვედრა მან ისე მოიგო, როგორც ჩოგბურთის ლაზიერს შეშვენის — მშვიდად, უკვნესელად და გაუხვითქავად.

**ლევან ძელაურაძე**


ფლავიუ სარეტა


REUTERS

იუნეს ელ აინაუი

## ფის ეს როდიკჯან

წლევანდელი პარიზობის მეორე დღეს ყველაზე დიდი როლანგაროსული ლლავი სომეხმა სარგის სარგსიანმა დაიჭირა. ლლავს ენდი როდიკი ჰქვია, ზედ ტურნირის დაწყებამდე ზანკტპიოლტენურ თიხნარზე პირველი არაამერიკული ტიტული მოიმკა და პარიზში დიდ იმედებთან ერთად რანგით მე-6 ჩოგანი ჩაიტანა.

ვაგლახ — ამ ჩოგნის ქნევა ამერიკელთა ჭაბუკ ჯილას იქ მხოლოდ ორი საათისა და 30 წუთის განმავლობაში მოუხდა.

სარგსიანმა მშვიდად და სტაბილურად ითამაშა, თუმცა, რომ არა თავად როდიკის აჭრილი ჩოგნაობა, ჩვენ მეზობელს მასთან მაინც ვერაფერი უნდა გაეწყო. ენდიბოიმ კი ჯერ სათულფე პირველი მოწოდება გაიმრუდა, მერე სათულფევე ხელწალმები და იმდენი ქნა, მეტოქის 16 უნებლიე შეცდომის წილ ჯამში 50 მიქარვა დაიგროვა. შეგედად — 7:6 (7:3), 1:6, 2:6, 4:6 შავწვერა სარგისის სასარგებლოდ.

რას იზამ, ხანდახან „ლეიკერსიც" აგებსო — ხუმრობდა ნამატჩევს როდიკი.

მაგრამ ეს უადგილო ხუმრობა იყო, რადგანაც — განსხვავებით „ლეიკერსისგან", რომელიც ბოლო წლებში გადამწყვეტ მატჩებს ერთობ იშვიათად თმობს, მან პარიზში ზედიზედ უკვე მეხუთეჯერ ჩაიფლავა.

პარიზი კი ამერიკელთათვის, ჰაი-ჰაი, რომ მართლაც გადამწყვეტ რკენათა სარბიელია...

ეს ხუთწაგებიანი სერია როდიკს შარშანწინ ლეიტონ ჰიუიტთან მარცხით დაეწყო. შარშან ის პირველსავე წრეში უეინ ართურსმა დაბორკა. მერე კი იყო სექტემბრის დევისობა, სადაც ის კენტად სებასტიან გროჟანმა და არნო კლემანმა დაიბრიყვეს.

სათქმელია ისიც, რომ ენდიბოის, ვისაც სამპრას-აგასიანთა წარმავალი თაობის უმთავრეს სლემმემკვიდრედ მიიჩნევდნენ, უკვე ათ სლემტურნირზე უპაექრია და აქედან მხოლოდ სამჯერ გასულა მესამე წრის მიღმა.

ფის ეს, როდიკჯან, ფის ეს! რაც იგივეა — ხაიტარაკუმეს ამერიკა!

ოღონდ ამერიკა პირველ დღეებში მხოლოდ როდიკს არ შეურცხვენია.

ძირითად ცხაურში მოჩოგნავე 13 იანკიდან ნაპირველწრევებს ტურნირს მხოლოდ ოთხნი — ანდრე აგასი, ჯეიმს ბლეიკი, ტოდ მარტინი და ვინს სპადია შერჩნენ. როდიკი კი ტრიბუნებზე სისილ მამიტს, ალექს კიმს, ტაილორ დენტს, ჯასტინ გიმელსტობს, ბრაიან ვაალს, მარდი ფიშს, ჟან-მიშელ გემბილსა და მაიკლ ჩანგს შეუერთდა.

## დამალითებული ჩანგი


REUTERS

„ჩემი 16-წლიანი კარიერისას სულ ორჯერ მიტირია და ორჯერვე — აქ" — ამბობდა იმ დღეს ფრანგ სანტოროსთან 5:7, 1:6, 1:6-ით წაგებული თავისი უკანასკნელი საროლანგაროსო მატჩის შემდეგ მაიკლ ჩანგი.

მეორედ მან ახლა იტირა, პირველად კი — ეგებ თქვენც გახსოვდეთ — მაშინ, როცა ჯერაც 17 წლისა და სამი თვის იყო და როლან გაროსის მომგები უმრწემესი მეჩოგნე შეიქნა...

ეს მისი ცხოვრების პირველი და უკანასკნელი სლემტიტული გახლდათ. მას შემდეგ მან კიდევ ერთხელ, 1995 წელს დააჭაშნიკა პარიზული დიდფინალის გემო, მაგრამ შეუპოვარ ავსტრიელთან, ტომას მუსტერთან დამარცხდა. კიდევ ორ სლემფინალში მან 1996-შიც ითამაშა — ავსტრალიაში მას ბორის ბეკერმა სძლია, ამერიკაში კი — პიტ სამპრასმა. იმ წელსვე ის რეიტინგსიის მეორე საფეხურსაც შესწვდა — უმაღლეს ადგილს მის გამორჩეულ, მოსასაკლისებელ კარიერაში.

წლეულს ჩანგი დიდი ჩოგბურთიდან მიდის და ყოველ ტურნირზე, სადაც ოდესმე რიგიანად გამოსულა, ქომაგებიც გულითადად ხვდებიან და ორგანიზატორებიც.

ფრანგული ჩოგბურთის მახვშმა კრისტიან ბიმემ მას იმ დღეს დიდი პოსტერი უფეშქაშა — პოსტერი, რომელზეც 14 წლისწინანდელი, კარიერის მწვერვალზე მდგომი ერთი ბეწო ჩანგია გამოსახული.

სახელთან და ბარაქიან შემოსავალთან ერთად მას საჩოგნეთიდან 34 ტიტული და ჩვენი ჰალალი სევდაც მიაქვს.

ასე შეუქცევლად და თანდათან ღარიბდება ჩოგბურთი.

## დასამალითებელი მონიკა?!

ეს გოგო ალბათ ყველა დროის ყველაზე დიადი ქალმეჩოგნე უნდა ყოფილიყო. მაგრამ ახლა ის ალბათ განგებისგან ყველა დროის ყველაზე უსამართლოდ დასჯილი მეჩოგნეა.

წლევანდელი პარიზობა მისთვის კარიერის მე-40 სლემტურნირი იყო და მონიკა სელეში აქამდე პირველ წრეში ჯერ ვერავის დაემარცხებინა.

ამასაც მოვესწარით.

მაგრამ რა გასაკვირია — 9-გზის სლემტიტულოსან უნგროსერბოამერიკელს ქვედა კიდურების გაუთავებელი ტრავმები აწუხებს და ან 5-6 თვით დასვენება, ანაც გადაუდებელი ოპერაცია სჭირდება.

„ჰო, ეს ასეა. მაგრამ მე ახლა ის ასაკი აღარ მაქვს, ჩემს თავს ამდენი ხნით დასვენების უფლება მივცე. თან არც ოპერაციის პერსპექტივა მხიბლავს" — ამბობს მონიკა.

და ხომ არ იქნება ეს მისი უკანასკნელი როლან გაროსი?

„თუკი ისე ვერ მოვემზადე, როგორც საჭიროა, გამორიცხული არაფერია... მაგრამ თუ ფორმაში ვიქნები და არაფერი შემაწუხებს, კვლავაც თქვენთან მიგულეთ. მე არ მინდა, აქაურობა ასე უსახელოდ მივატოვო."

ამას 29 წლის მონიკა სელეში გვეუბნება. ქალი, ვისაც იქ ათჯერ უომია და ათჯერვე მეოთხედფინამდე მაინც მისულა, ხოლო 1990-92 წლებში, როცა სამყაროში ბადალი არ ჰყავდა, ზედიზედ სამჯერ იპირველა კიდეც.

მონიკა იმ დღეს მსოფლიოში 76-ე ჩოგნის მქნეველმა ჰოტროველა რუსმა, ნადია პეტროვამ დაჩოგნა 6:4, 6:0.

## უფლისწულის კრუნჩხვები

ფრანგული ჩოგბურთის პატარა უფლისწულს, 16 წლის რიშარ გასკეს ეკვადორელ ლაპენტისთან თავისი საპირველწრეო განდაგანის შეწყვეტა მესამე სეტში მოუხდა. გასკე მუშა ხელმა დაალალატა და ექიმმაც ბიჭს უმალ კორტის მიტოვება ურჩია.

შეგახსენებთ, რომ ეს ნიჭიერი ფრანგი ყმაწვილი მშობლიურ სლემტურნირს შარშანაც პირველ წრეში გამოაკლდა — მაშინ ის არა ხელის კრუნჩხვამ, არამედ მომავალმა ჩემპიონმა ალ კოსტამ გააჩერა.

თუკი გასკემ ტურნირის დაწყება მაინც მოახერხა, მისმა მომავალმა მთავარმეტოქემ, მისკბილა ესპანელმა ვუნდერბიჭმა რაფაელ ნადალმა ეგეც ვერ შეძლო — ერთ-ერთი წინასატურნირო ვარჯიშისას იდაყვი დაიშავა და ჩვენი თაგვმაუსების მიღმა დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხქვეშ გაგდებული ღმერთი და ჯალათი



თენსინგ ნორგეი ევერესტზე



ბიძინა გუჯაბიძე

ისტორიულ ამბებს ისტორიული ფოტო უხდება. ერთი ასეთი ისტორიული ფოტოა დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე გადაღებული სურათი, რომელზეც ინგლისელთა ექსპედიციის წევრს, შერპ თენსინგ ნორგეის ვხედავთ აღმართული წერაყინითა და ზედ ასხმულ-აფრიალებული გაეროს, დიდი ბრიტანეთის, ნეპალისა და ინდოეთის დროშებით.

თენსინგ ნორგეის ეს სურათი იმავე ექსპედიციის ახალზელანდიელმა წევრმა ედმუნდ ჰილარიმ 1953 წლის 29 მაისს, 11 საათსა და 30 წუთზე გადაუღო. ევერესტი, იგივე ჯომოლუნგმა და საგარმატხა პირველად სწორედ მაშინ დანებდა ადამიანებს.

სამწუხაროდ, თავად ჰილარის ამგვარი ფოტო არ არსებობს, თენსინგმა კი შესთავაზა, მოდი, ახლა მე გადაგიღებო, მაგრამ ახალზელანდიელმა რატომღაც არ ინდომა, სამაგიეროდ, ირგვლივ ყველაფრის ფირზე აღბეჭდავდა.

თენსინგი და ჰილარი იყვნენ ათკაციანი და შვიდტონანახევრიანი ექსპედიციის წევრები, რომლებსაც ზურგს უმაგრებდა 39 მოხიმალლე მზიდავი შერპი და კიდევ 350 მებარგული. მათგან მწვერვალს სწორედ ამ ორმა მიაღწია.

იქ, დედამიწის სახურავზე პირველამსვლელები ერთმანეთს ხელს ართმევდნენ, ეხვეოდნენ და ზურგზე უტყაპუნებდნენ ხელს, მერე კი ჟანგბადის უკმარისობის გამო იძულებულნი გახდნენ ეს „გართობა" შეეწყვიტათ.

და თუ დედამიწის უმაღლეს მწვერვალს რომელიმე ქვეყნის ექსპედიცია მიაღწევდა, პირველი ინგლისელი უნდა ყოფილიყო, რადგან მათ ყველაზე დიდი წვლილი და მსხვერპლი გაიღეს უდიდესი ოცნების ასახდენად. მაგრამ პიროვნულად ამ პატივს ყველაზე მეტად სწორედ თენსინგ ნორგეი იმსახურებდა. 1922 წლიდან 1953-მდე ჯომოლუნგმაზე თორმეტიდან ათი ექსპედიცია ინგლისელებმა ჩაატარეს. ამ ცდებიდან თენსინგი ყველაზე მეტჯერ, ექვსჯერ მიიწევდა მწვერვალისკენ, რომელმაც პირველასვლამდე მრავალი მთამსვლელის სიცოცხლე შეიწირა. მერე კი, როცა ეს ზეციური ეპოპეა ბოლოს და ბოლოს გამარჯვებით გასრულდა, დაიწყო მიწიერი ამბები, აგორდა ჭორები და ათასი სულელური მითქმა-მოთქმა. ერთნი ირწმუნებოდნენ, თენსინგმა ჰილარი ზურგზე მოკიდებული აათრია მწვერვალზეო. მეორენი საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ. ზოგმა ამ ამბავს პოლიტიკური სარჩული დაუდო. თენსინგს შეუდავნენ, წერაყინზე დროშები მაგ თანმიმდევრობით რატომ აასხიო, ყველაზე მეტად კი ის აინტერესებდათ, მაინც პირველმა რომელმა შედგა ფეხი მწვერვალზეო.

აი, თენსინგის მიერ აღწერილი ბოლო ნაბიჯებიც: „მწვერვალამდე დარჩენილი იყო რამდენი მეტრი, როცა მე და ჰილარი შევჩერდით, ავიხედეთ ზევით და კვლავ განვაგრძეთ გზა. ჩვენ გვაერთიანებდა დაახლოებით ათმეტრიანი თოკი, ოღონდაც მე ხელზე დახვეული მქონდა თოკის დიდი ნაწილი. ასე რომ, ჩვენს შორის მანძილი ორი მეტრს არ აღემატებოდა. მე არ ვფიქრობდი იმაზე, რომ იქ ოქროს ვაშლი ძევს, ახლა ხელს ვკრავ ჰილარის და ვაშლიც მე დამრჩება-მეთქი. ნელა მივდიოდით, მაგრამ მტკიცედ: და აი, მივაღწიეთ მწვერვალს. ჰილარიმ პირველმა შედგა ზედ ფეხი, მე კი მეორემ".

ამით დასრულდა დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე პირველასვლა და მასთან ერთად ჭორებიც.

მას მერე ნახევარი საუკუნე მიილია, მაგრამ ჯომოლუნგმასადმი ინტერესი სულაც არ განელებულა. პირიქით, სულ უფრო ღვივდება და გრძელდება ადამიანისა და ჯომოლუნგმას ბრძოლა. ამ ბრძოლამ წარმოუდგენელი მასშტაბები მიიღო, რაკიღა, შეიძლება ითქვას, მისკენ მხოლოდ მთამსვლელები კი არა, მათი დახმარებით უკვე სამთო ტურისტებიც მიილტვიან და ისინიც, რომლებსაც მთასთან, კლდესთან და თოვლიან ლამის არაფერი აკავშირებდათ. ამსვლელთაგან მწვერვალს 1200 კაცმა მიაღწია, მათგან 300-ზე მეტმა განმეორებით დალაშქრა, ზოგმაც მრავალგზის განმეორებით. ამასობაში ჯომოლუნგმამ 175 კაცის სიცოცხლე იმსხვერპლა, მაგრამ ადამიანები მაინც მისკენ მიიწევენ, რადგან ყველა, ვისაც ფული აქვს და ჯანმრთელობას არ უჩივის, ცდილობს დედამიწის კენწეროზე ფეხის შედგმას.

მთამსვლელებმა თავდაპირველად, ბუნებრივია, ყველაზე იოლი გზებით სცადეს ასვლა. სამხრეთიდან თენსინგისა და ჰილარის მიერ გაკვალულ ასეთ ბილიკს კლასიკური უწოდეს. კლასიკური უწოდეს ჩრდილოეთიდან 1960 წელს ჩინელთა მიერ გავლილ მარშრუტსაც (თუმც ზოგი დღესაც ფიქრობს, რომ ეს გზა ჯერ კიდევ 1924 წელს ინგლისელებმა ჯორჯ მელორიმ და ენდრიუ ირვინმა გაიარეს, მაგრამ დაშვებისას დაიღუპნენ). ამას მოჰყვა ამერიკელების მიერ დასავლეთის ქედით ასვლა; მერე 1975 წელს ინგლისელებმა სამხრეთ-დასავლეთის ქედით დალაშქრეს მწვერვალი; 1979 წელს მის სიახლოვეს ახლა უკვე იუგოსლაველებმა დატოვეს თავიანთი კვალი; 1980 წელს პოლონელებმა გაჭრეს ახალი ბილიკი; იმავ წელს იაპონელებმა იუგოსლაველთა და ჩინელთა გავლილ გზებს შუა მოქცეული კლდოვანი „ფართობი აითვისეს"; 1982 წელს საბჭოთა კავშირის მთამსვლელებმაც კლდოვანი ასვლა განახორციელეს, ოღონდ სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან; 1984 წელს პოლონელებმა თავიანთი თანამემამულეების გზა, ოღონდ სხვა ვარიანტით გაიარეს.

და რაკი მწვერვალზე აუთვისებელი მარშრუტი აღარ დარჩა, მერე მასზე ავიდნენ დღისითაც და მზისითაც, ღამით, მთვარის შუქზეც მიაღწიეს დედამიწის სახურავს. იქ ავიდნენ გაზაფხულზეც, შემოდგომაზეც და ზამთარშიც. ავიდნენ მუსონების პერიოდშიც. მწვერვალს მიაღწიეს ჟანგბადის ბალონების გამოყენებითა და უჟანგბადოდაც, ჯგუფურადაც და მარტოდმარტოც.

ახლა თითქმის ყველა მწვერვალზე კლასიკური მარშრუტებით ცდილობს ასვლას და პროფესიონალი მთამსვლელები ნაირგვარი რეკორდებით ლამობენ თავიანთი სახელების უკვდავყოფას.

ადიან ქალებიც და კაცებიც, არასრულწლოვანებიც და მოხუცებიც, ადიან ცოლქმრული თუ, მამაშვილური წყვილები...

იქ, დედამიწის კენწეროზე ასულნი უბრალოდ ასვლას არ სჯერდებიან და ერთმანეთს დაუსწრებლად თავქუდმოგლეჯილი სირბილით მწვერვალის დალაშქვრაში ეჯიბრებიან.

ჯომოლუნგმაზე მოქცეულთაგან ერთი შერეკილი რომ თხილამურებით ეშვება, მეორე პარაპლანით ხტება და მას ცოლიც ყიჟინით უკან მიჰყვება.

ისინი ყველა კონტინენტისა და რასის წარმომადგენლები არიან. ჯომოლუნგმაზე ასულთ შავი კაციღა აკლდათ და მათ რიგებს ისიც შეემატა.

ამ დღეებში ჯომოლუნგმაზე კიდევ არაერთი უნიკალური და სარეკორდო ასვლა განხორციელდა. უნიკალურია თუნდაც ის, რომ 22 მაისს მწვერვალზე 74 კაცი ავიდა, სულ ამ სეზონში ჯერ მხოლოდ 22 მაისის მონაცემებით 106 კაცმა მიაღწია მწვერვალს: ვიმეორებთ, 106 კაცმა და არა მთამსვლელმა, რადგან მათ შორის არაალპინისტებიც იყვნენ.

ამ ბედნიერთა შორის აღმოჩნდა მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი, იტალიელი მოთხილამურე მანუელა დი ჩენტა, რომელსაც სახიმალლო ასვლების გამოცდილება საერთოდ არ ჰქონია. თანაც, დი ჩენტა პირველი იტალიელი ქალია, ვინც ჯომოლუნგმადან გადმოიხედა, თბილისელი ბიძინა გუჯაბიძე კი პირველი ქართველი მთამსვლელია, რომელმაც ახლა, ტიბეტიდან ასვლის მერე, მწვერვალი სამხრეთიდანაც დალაშქრა და ჩრდილოეთიდანაც.

ჩვენმა მთამსვლელმა 26 მაისს ასე აღნიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და ჯომოლუნგმაზე პირველსვლის 50-წლიანი იუბილე.

**ავთანდილ გურასაშვილი**



1953 წლის ინგლისელთა ექსპედიციის მეთაური ჯონ ჰანტი




ევერესტზე გავლილი მარშრუტები

## საქართველოს მე-13 ჩემპიონატი

# მარკშეიდერისა არ იყოს, ერთი-ორი კარგი მსაჯი არ გვაწყენდა



ვადიმ კოსინაშვილის ფოტო

**სამწუხარო** ვარაუდი კინაღამ გამართლდა: ჩვენი უპატრონო და უმსაჯო სახელბურთო ჩემპიონატი გუშინ ჩაშლის პირას იდგა.

საუბედუროდ, ყოველ შეჯიბრს ქრონიკულად აწვალებს მსაჯთა პრობლემა. საქართველოს ხელბურთის ასოციაციამ წინა წლებში რამდენჯერმე მოახერხა პრინციპული მატჩების სამსაჯოდ სომეხი და აზერბაიჯანელი არბიტრების ჩამოყვანა. სადღეისოდ ამის შესაძლებლობა აღარ არის, ქართველი მსაჯები კი თამაშებზე საერთოდ არ მოდიან — არავის ეხალისება ათიოდე ლარისთვის საგინებლად გაიხადოს საქმე. მით უფრო, რომ მათ მიმართ მწვრთნელების უტაქტო და აგრესიული გამოხდომებით შეგულიანებული მოთამაშეებიც იწევენ ხოლმე მამისტოლა კაცებზე. ამჟამად არბიტრთა თუნდაც ერთი წყვილიც კი არ გვყავს, საკვანძო მატჩების უხინჯოდ გაძღოლა რომ შეეძლოს.

გუშინ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში სწორედ ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა გაიმართა: ერთმანეთს საპრიზო ადგილების პრეტენდენტები, „თბილისი“ და „მაძული“ დაუპირისპირდნენ. თამაში თავიდანვე თბილისელთა უპირატესობით წარიმართა, მეათე წუთისთვის ისინი ხუთბურთიანი სხვაობით დაწინაურდნენ — 7:2. მამულელებმა ჩამორჩენის შემცირება კი მოახერხეს, მაგრამ ტაიმი მაინც დათმეს — 11:13.

შესვენების შემდეგ ორიოდ წუთში ანგარიში გათანაბრდა, მერე კი წინ ისევ „თბილისი“ გაიჭრა და საფინალო სასტვენამდე შეინარჩუნა უპირატესობა. ინციდენტი, რომლის გამოც მატჩი კინაღამ ჩაიშალა, შუა ტაიმში მოხდა: მოედნის მსაჯთა მორიგი შეცდომის გამო ვითარება ისე დაიძაბა, რომ ჩემპიონატის მთავარი მსაჯი და „თბილისის“ მწვრთნელი ლამის გასაშველებლები შეიქნენ. კიდევ კარგი, რომ საქმე მოედნიდან გუნდის გაყვანამდე არ მისულა.

სამწუხაროდ, ასე შორს ვერ წავალთ — დღესაც და ხვალაც რთული თამაშები გველის.

**გია ახალაძე**

| 28 მაისი | | |
|---|---|---|
| თბილისი | 26:24 | საუ-მამული |
| სტუ-2 | 38:22 | მართვე |
| სტუ-შევარდენი | 36:26 | ქუთაისი |

| სატურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 3 | 0 | 0 | 119:64 | 6 |
| თბილისი | 3 | 0 | 0 | 91:87 | 6 |
| საუ-მამული | 2 | 0 | 1 | 99:86 | 4 |
| სტუ-2 | 1 | 0 | 2 | 85:93 | 2 |
| ქუთაისი | 0 | 0 | 3 | 97:112 | 0 |
| მართვე | 0 | 0 | 3 | 75:114 | 0 |



## NHL სტენლის თასი

### ფინალი ოთხ მოგებამდე



# ფუი, ეშმაკს!

## ჟიგერმა სამი შაიბა ტელესტუდიაში გაუშვა



27 მაისი

### ნიუ ჯერსი 1:0 ანაჰაიმი

**ნიუ ჯერსი 3:0 ანაჰაიმი** *0:0 1:0 2:0*

**1:0 ფრიზენი (22), 2:0 მარშალი (46), 3:0 ფრიზენი (60)**

**ნიუ ჯერსი:** ბროდო; სტივენსი — რაფალსკი, ნიდერმაიერი — უაიტი, ტვერდოვსკი — ალბელინი; ლანგენბრუნერი — მედენი — პანდოლფო, ელიაში — გომესი — მარშალი, ფრიზენი — ბრილინი — ჯიონტა, ბიჩეკი — რიომი — მაკენზი.

**ანაჰაიმი:** ჟიგერი; ჰაველიდი — კარნი, ოზოლინში — სოიერი, ვიშნევსკი — სალეი; კარია — რუჩინი — ნიდერმაიერი, ლეკლერკი — ოუთსი — სიკორა, ტომასი — პოლსონი — ჩისტოვი, ბილსმა — კროგი — შუინარი

**ჟან სებასტიან ჟიგერი** მარტო კარგი მეკარე კი არა, გულთმისანიც ყოფილა. ანაჰაიმის საუცხოო მეკარესა და ფინალში გასვლის სულისჩამდგმელს უსიამოვნო წინათგრძნობა ჯერ კიდევ 23 მაისს გაუჩნდა. იმ დღეს მეკარემ ყველა ალაფრთოვანა და NBC-ის ცნობილმა ტელეწამყვანმა ჯეი ლენომ აშშ-ში უაღრესად პოპულარულ „THE TONIGHT SHOW“-ზე მიიწვია. სპორტსმენებს, მით უფრო ჰოკეისტებს, ასეთი შანსი იშვიათად ეძლევათ. ბოლოს ლენოს სტუმარი დეტროიტელი ბრენდან შენაჰანი იყო 1997 წელს. ჟიგერი შოუზე ზუსტად იმ დროს აღმოჩნდა, როცა ოტავა და ნიუ ჯერსი გადამწყვეტ მატჩს მართავდნენ კონფერენციის ფინალში. როცა ჯეფ ფრიზენმა ბოლო წუთებზე გადამწყვეტი შაიბა გაიტანა და ცხადი გახდა, რომ ანაჰაიმის მეტოქე ნიუ ჯერსი იქნებოდა, ჟიგერმა ემოციები ვერ მოთოკა და უნებლიეთ თავში ხელი შემოირტყა, აშკარად უკმაყოფილო დარჩა. ეტყობა, გული უგრძნობდა, რომ ნიუ ჯერსი მისი გუნდისთვის გაცილებით რთული მეტოქე იქნებოდა.

გავიდა ოთხი დღე და ჟიგერის წინათგრძნობა გამართლდა. მეტიც, მეკარე ალბათ ვერც წარმოიდგენდა, რომ მისი გუნდი სასტარტო მატჩს ასე უსუსურად ითამაშებდა. ვინ იცის, რამ იმოქმედა ანაჰაიმზე, ნუთუ ხანგრძლივმა დასვენებამ (10 დღე)? ან იქნებ ფსიქოლოგიურმა ტვირთმა: გუნდი ხომ პირველად გავიდა ფინალში. „მძლავრი იხვები“ სულაც არ ჰგავდნენ იმ გუნდს, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ დეტროიტი და დალასი დაიფრინა პლეი ოფიდან.

პირველ პერიოდში ბრძოლა თანაბარი იყო. ორივე გუნდი ღელავდა, ერთმანეთს ზვერავდა. მეორე პერიოდი დაიწყო თუ არა, „ეშმაკები“ საქმეს შეუდგნენ და უმალ იხეირეს. ნიშანდობლივია, რომ ეს გოლი სერგეი ბრილინის ხაზმა მოითვალა, რომელმაც პირველად ითამაშა ამ შემადგენლობით. ძალიან სწრაფმა ჯიონტამ, ბრილინმა და ფრიზენმა თავიანთი სისხარტით ისე დააბნიეს მეტოქის დაცვა, რომ 15 წამში სამი მომენტი შექმნეს. საბოლოოდ ჯეფ ფრიზენმა ბრილინის პასის შემდეგ გახსნა ანგარიში. ფრიზენი შარშან ანაჰაიმში თამაშობდა და ჟიგერის სუსტი ადგილები არ ესწავლება. ისარგებლა კიდეც ამით.

ამის შემდეგ ნიუ ჯერსი სრულად დაეუფლა ინიციატივას. ერთი ეგ იყო, რომ მეორე გოლი ვერა და ვერ გადიოდა. არადა, მომენტები ჟიგერის კართან ხშირად იქმნებოდა და ასეთ დროს გოლი საპირისპირო მხარეს არცთუ იშვიათად გვინახავს, მაგრამ ეს დღე ანაჰაიმის არ იყო. იგი მარტო დაცვაში კი არ გამოიყურებოდა უნიათოდ, შეტევაშიც ვერაფერს ახერხებდა და საბოლოოდ მეორე გოლიც გავიდა. პატრიკ ელიაშმა ჯერ თავად ვერ გაიტანა, მერე კი ბრწყინვალე პასით გაატანინა გრანტ მარშალს, რომელმაც შაიბა ფაქტობრივად ცარიელ კარში შეასრიალა. ამის შემდეგ სტუმრები ოდნავ გააქტიურდნენ, თუმც ამ გამოფხიზლებამ მხოლოდ რამდენიმე წუთს გასტანა. ნათელი იყო, რომ მატჩს ნიუ ჯერსი მოიგებდა. ეს მაშინვე გაცხადდა, როცა ფრიზენმა ცარიელ კარში გაიტანა.

ნიუ ჯერსი დაწინაურდა, ანაჰაიმმა კი თავი ბევრ რამეზე უნდა იმტვრიოს, თუნდაც იმაზე, მხოლოდ 16-ჯერ რატომ დაარტყა, რაც მისი ანტირეკორდია.

**სამველ ღარიბიანი**



## NBA PLAY OFF დასავლეთ კონფერენციის ფინალი

# სფუუუუუურსსს

## ჩაფუშული ბურთის ხმა

27 მაისი

### სან ანტონიო 3:2 დალასი

**სან ანტონიო 91:103 დალასი**

**სან ანტონიო: პარკერი (7), ჯექსონი (20), ბოუენი (12), დანკანი (23 ქულა, 15 მოხსნა, 6 პასი), რობინსონი (5); როუზი (14), ჯინობილი (5), კლაქსტონი (5), ვილისი**

**დალასი: ნეში (14), ვან ექსელი (21), ფინლი (31), უილიამსი (12), ლაფრენცი (9); ნახერა (11), ბელი (3), აბდულ-ვაჰადი (2), გრიფინი**

მატჩი დამთავრდა და სანანტონიოელები ეგრეც ვერ მოვიდნენ გონზე. ბევრ მათგანს სახეზე გაოგნება ეწერა, ვერ გაეგოთ, როგორ ვერ მოიგეს ეს თამაში.

სანანტონიოელები ერთხანს 19 ქულითაც იყვნენ წინ და, ჩანს, თავი უკვე ფინალში დაიგულეს, არადა, თურმე, სულ ტყუილად. დალასელები დირკ ნოვიცკის გარეშე თითქმის განწირულები კი არიან, მაგრამ თავს ასეთად არ ცნობენ და „სან ანტონიომ“ ნაადრევად რომ იწყო ზეიმი, ეს ზემოტეხასელებისთვის ხავსი კი არა, მოზრდილი ტოტი იყო. ჩაეჭიდნენ და ცოტა ხნით მაინც გადარჩნენ დახრჩობას.

გაჩნდა ინტრიგაც, რომელიც ამ ორი ტეხასური გუნდის რკენაში ჩრდილოელის გერმანელი ლიდერის, დირკ ნოვიცკის ტრავმამ გააქრო. „დალასს“ ისედაც უჭირდა კარგი მაღლები, უნოვიცკოდ კი „სფურზის“ 213-სანტიმეტრიან მონსტრ ტიმ დანკანთან ჭიდაობის ძალა სავსებით წაერთვა.

„დალასის“ მეთაურები, მამა-შვილი დონ ნელსონები, ბოლო ორ თამაშში თავგანწირულ ავანტიურაზე წავიდნენ — „მავერიკსი“ ორი გამთამაშებლით, ორი მსროლელითა და მხოლოდ ერთი გამოკვეთილი მეფარით, ისიც ამჟამად ფორმიდან ამოვარდნილი რაფ ლაფრენცით ათამაშეს. მეოთხე თამაშში ცდამ ვერ გაამართლა. მეხუთეშიც თავიდან ყველაფერი ჭაკად წავიდა, „დალასი“ 18 ქულით ჩამორჩა მეტოქეს, მაგრამ აქ ჩრდილოელებს ისევ სამხრეთელებმა გაუწოდეს უნებლიე დახმარების ხელი, თავისუფლება უბოძეს და აი, შედეგიც — „დალასმა“ ბოლო მეოთხედი 29:10 მოუგო „სან ანტონიოს“ და საბოლოოდ ისეთი ანგარიშით იმარჯვა, კაცს ეგონება, ეს თამაში თავიდან ბოლომდე მკვიდრად მისი იყოო.

დღის გმირი დალასელი მსროლელი მაიკლ ფინლი გახლავთ, რომელიც მანამდე სანანტონიოელთა ყოჩაღი დამცველების ბრიუს ბოუენის და მანუ ჯინობილის ხელებში იტანჯებოდა, ახლა კი მომენტი დაიჭირა და გაინავარდა.




ტონი პარკერი და ტიმ დანკანი: ეს რა თამაში წავაგეთ!

ბოლო მეოთხედში მას დაბალი თანაგუნდელები — ნეში და ვან ექსელიც აჰყვნენ და გაყოყოჩებულ „დეზებს“ კარგი გაკვეთილი ჩაუტარეს.

„სფურზის“ თავკაცმა, ამ სეზონში ამერიკელ ჟურნალისტთაგან კოლეგათა შორის საუკეთესოდ მიჩნეულმა გრეგ პოპოვიჩმა ბოლო მეოთხედში რამდენჯერმე აიღო ტაიმაუტი და რა არ იღონა, მატჩის დინება ძველ კალაპოტში რომ დაებრუნებინა, მაგრამ სულ ტყუილად. მისი შეგირდები მაგრად დაბნეულიყვნენ, ერთმა მცირე ინციდენტმა ხომ სულ მოშალა. ზედ „სფურზის“ სკამის უკან მჯდარმა ერთმა დაუოკებელმა ფანმა, რა შეატყო, ესენი თამაშის მომგებები ველარ არიანო, იმედგატეხილმა მიაყვირა, თქვე უვარგისებოო და პასუხად ნერვებაშლილი ბრიუს ბოუენისაგან ისტერიული კივილი მიიღო — „მოკეტე! მოკეტე! მოკეტე!!!“

მატჩის დამთავრებამდე ორი წუთიც არ რჩებოდა, „სან ანტონიოს“ რამდენიმეწუთიანი მონაკვეთი 2:14 წაეგო და მეტოქეს უკვე 88:101 ჩამორჩებოდა. „სფურზმა“ ვერც დარჩენილ დროში შეძლო რაიმე ხეირიანის გაკეთება.

**კოტე ყორშია**

# შუმის თამაში


REUTERS

მონაკოში საქველმოქმედო ფეხბურთია: მისი მომწყობი, ცხადია, მეფორმულე მიხაელ შუმახერია და ფორმულას გუნდი ვარსკვლავთა ნაკრებს ებურთავება. ფაბიენ ბარტეზს კი ძველი ოცნება აუსრულებია, მინდვრის მოთამაშედ ირჯება. მთელი შემოსავალი ბავშვების ნაირგვარ ფონდებს გაუნაწილდებათ.


REUTERS

# ნიუ ჯერსი მაგარია

ისტ რეზერფორდში ნამდვილი ზეიმია. „კონტინენტალ აირლაინს არენაზე“ პატარა ბიჭები „ნიუ ჯერსი ნეთსის“ საკალათბურთო გუნდის ენბიეის ფინალში გასვლას ზეიმობენ. აქ ერთი საქმეა: ერთ ბიჭუნას „ნეთსის“ მაისურა აცვია, მეორეს კი იმავე ქალაქის ჰოკეის გუნდ „დევილზისა“. ბიჭებს ქუდებიც შერეული ახურავთ, პირველს ჰოკეის გუნდისა, მეორეს — კალათბურთისა. მართლაც რომ მაგარი რამეა: ისევე როგორც „ნეთსი“, „დევილზიც“ ენეიჩელის დიდ ფინალში გავიდა. ერთი პატარა ისტ რეზერფორდისთვის საუცხოო ამბავია.

# ქალი და შაიბა

ახლა ჩრდილოამერიკულ ჰოკეიში მთავარი დღეები დადგა: ფინალურ სერიაში ანაჰაიმელი უძლეველი კვატები ნიუ ჯერსელ ეშმაკებს შეეჯახნენ. ანაჰაიმელთა მეკარე ჟან სებასტიან ჟიგერი თავის საცოლესთან, კრისტინ ფოტროფთან ერთად უყურებს ტელევიზორს, ამერიკაში ყველაზე სახაცილო „ჯეი ლენოს ღამის შოუს“, თუმც მაინც ბრძოლებზე ფიქრობს.


REUTERS

# კოლური ომები

შანხაის მაღაზიათა დახლებზე ჩინელ კალათბურთელთა იერით აღბეჭდილი კოკა კოლა გამოჩნდა. მენეკე ბატირი, იაო მინგი და გუო შიქიანგი მყიდველის თვალს იტაცებენ. სადავო კი დიდი გამოვიდა: „ჰიუსტონ როკეტსში“ მოთამაშე გოლიათი იაო მინგი „პეპსიკოლას“ ერთ-ერთი სახეა და „კოკა-კოლას“ ეს ბოთლები რომ იხილა, იმწამსვე მოითხოვა მათი განადგურება, რახან ამ უკითხავი რეკლამებით „პეპსის“ ზარალი დაინახა.


REUTERS


REUTERS

# სეგედში

კანოისტთა მსოფლიო თასზე ათასმეტრიანი გაცურვა სწორედ ამ ბიჭებმა მოიგეს. კუბელები არიან: იბრაიმ როხასი და ლედი ბალკეირო, ამბავი კი უნგრეთში, სეგედში ხდება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კაკა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ღეკაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge